კვირა 1919 წ. თებერვლის 23 № 42

წლიწადი მეხუთე

კვირა 1919 წ. თებერვლის 23 № 42

ფასი თბილისში პროვინციაში და რკ. გზის სადგურებზე 1 მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

რედაქცია

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგ. ადრესი: თბილისი, „საქართველო“

კონტორა

„საქართველოზე“ ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ღირება—40 მ. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 15 მანეთი. ცალკე № 1 მან. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 1 მ. 50 კ. უკანასკნელზე—1 მ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 25 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს 3 მან. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს $1^1/_2$ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 10 საათიდან 3 საათამდე.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15—73

კვირას, 23 თებერვალს თბილისის სამხედრო ტაძარში ნაშუადღევის 12 საათზე გარდახდილ იქნება ორმოცი დღის პანაშვიდი განსვენებულის პოლკოვნიკის

ნიკოლოზ მიხეილის ძე

## ქავთარაძის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ძმები გიორგი და ივანე მიხეილის ძენი ქავთარაძეები სახლობით. 1—2145—1

---

გულ დათუთქულნი და უბედური დედ-მამა სოლომონ და ქრისტინე კურცხალიები, დები: ელიკო და ცეცილია, სიძეები: ალექსანდრე იმერლიშვილი და ვახტანგ იანქოშვილი მადლობას სწირავენ ყველას ვინც თანაგრძნობა გამოუცხადა მათ საყვარელ სიდიდის გამომძიებლის

## შალვა სოლომონის ძე კურცხალიას

გარდაცვალების გამო. 1—2143—1

---

მწუხარებაში მყოფნი დედა მართა და მეუღლე ბარბარე დავითის ასული, ცოლის ძმანი: გიორგი, რევაზ, ივანე დავითის ძენი და ცოლის ძმის წული ექიმი დავით გიორგის ძე ზარდიაშვილები აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა სოფ. გურჯაანში მღვდელი

## იოსებ ილარიონის ძე იაშვილი

პანაშვიდი ყოველდღე სად. 6 საათზე. წირვა და დაკრძალვა მოხდება კვირას, 23 თებერვალს გურჯაანში წმ. გიორგის ეკლესიის გალავანში. 1—2144—1

---

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭო ღრმა მწუხარებით აუწყებს უნივერსიტეტის მსმენელთა და გარეშე საზოგადოებას, რომ პარასკევს, 21 თებერვალს, სად. 8 საათზე, წინწკლებიანი სახადით გარდაიცვალა ქართული უნივერსიტეტის აქტიურ დამაარსებელთაგანი და საბჭოს მდივანი

## პროფესორი იოსებ ყიფშიძე

პანაშვიდი ყოველ დღე, შუადღის 12 საათზე, ქაშვეთის ეკლესიაში 1—2146—1

---

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიბრძნის-მეტყველების ფაკულტეტი გამოუთქმელი მწუხარებით აუწყებს სტუდენტებსა და საზოგადოებას ქართული ენის კათედრის პროფესორის

## იოსებ ყიფშიძის

უდროოდ გარდაცვალებას.

პანაშვიდები ყოველდღე სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკლესიაში, შუადღის 12 საათზე. 1—2146—1

---

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამგეობა უცხარედ დასტირის თავისი ძვირფასი წევრის პროფესორ

## იოსებ ყიფშიძის

უდროოდ გაციებულ გვამს. 1—2146—1

---

21 თებერვალს, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ, საკუთარ ბინაზე (არაგვის ქ. № 8), გარდაიცვალა პროფესორი სახელმწიფო უნივერსიტეტისა,

## იოსებ ალექსის ძე ყიფშიძე.

რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უზომო მწუხარებით გულდამწვარნი: სიდედრი მისი ნინო ეგაძისა, ცოლისდები: ნადეჟდა, ლიუბა, სოფიო და თამარ, ცოლის ძმა მიხეილ ეგაძე და ქვისლები: ილია ფერაძე, დეკანოზი გიორგი გამრეკელი და სერგო გორგაძე—შვილებითურთ.

(1—2147—1)

---

პარასკევს, 21 თებერვალს, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ, საკუთარ ბინაზე (თბილისი, არაგვის ქუჩა, № 8), გარდაიცვალა პროფესორი სახელმწიფო უნივერსიტეტისა,

## იოსებ ალექსის ძე ყიფშიძე,

რასაც აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ-მეგობართ თავზარდაცემულნი: მეუღლე მისი ევგენია კონსტანტინეს ასული შვილითურთ, მშობლები დეკანოზი ალექსი და მარიამ ყიფშიძენი, დები; ელისაბედ და ეკატერინე, ძმები დავით და შალვა და სიძე პლატონ გოგოძე—შვილებითურთ. (1—2147—1).

---

გულდამწვარნი ნინო (ცაციკო) პეტრეს ასული და იოსებ ნიკოლოზის ძე პანოვები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ რომ გარდაიცვალა ქალაქ სოხუმში მათი საყვარელი და ძვირფასი პირველისა ძმის და მეორისა სიძის თბილისის პოლიტეხნიკუმის სტუდენტი

## ანდრო ფარადაშვილი

წირვა და პანაშვიდი კვირას 23 თებერვალს პატარა წმიდა გიორგის ეკლესიაში ანჩხატის ქ. წირვა დაიწყება 11 საათზე.

(1—2140—1)

---

სოფიო ზაქარიას ასული ციციშვილისა და ილია ილარიონის ძე ციციშვილი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ დღეს, 23 თებერვალს, გორის საკრებულო ტაძარში გადახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი პირველის ძვირფას და დაუვიწყარ დედის, მეორის საყვარელ სიდედრის

დარია მერაბის ასულის

## ციციშვილის

სულის მოსახსენებლად. (1—2148—8)

---

დღეს, 23 თებერვალს, 12 საათზე, ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში გადახდილი იქნება წლის პანაშვიდი

იოსებ დავითის ძის

## ფორაქაშვილის

სულის მოსახსენებლად, რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მეუღლე კონკორდია ნიკოლოზის ასული ფორაქაშვილისა და თეკლე დავითის ასული ფორაქაშვილისა. (1—2149—1)

---

21 თებერვალს საღამოს 6 საათზე, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

ნატალია ნიკოლოზის ასული

## კნ. ბარათაშვილისა

რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ძმები: ივანე, გიორგი და მიხეილი ნიკოლოზის ძენი კვიზერელი-კოპაძენი, რძალი მარიამი ალექსის ასული კვიზერელი-კოპაძე და ძმისწულნი ნიკოლოზ, ევგენი, ლევანი, სოფიო, ალექსანდრე, ეკატერინე, იოსები, ზაქარია და ელისაბედი. პანაშვიდი ყოველ დღე, საღამოს 6 საათზე, ავლაბარში, კახეთის ქუჩა 22. დღე ცხედრის გასვენებისა (დაბა მანგლისში), იქნება გამოცხადებული ცალკე. (1—2150—1)

---

## ეროვნული დროშები

სხვა და სხვა ზომისა, მასალისა და ფასისა იყიდება:

**კულტურისა და შრომის კავშირის შტემპელების ქარხანაში**

ნიკოლოზის ხიდი (ვორონცოვის ძეგლის აქეთ), № 21.

ეროვნული დროშები ორიგინალ ტარებით სახლების, მაღაზიების და დაწესებულებათა შესამკობად.

**მცირე დროშები** ავტომობილებისათვის, საბავშვო სეირნობისათვის და სხვა.

ფ სხვა, მასალა ... ... შედარებით, დაქლიბული და ხელმისაწვდენი.

შეღებილ ნარმის დროშები **5 მან-დან,**

აბრეშუმისა **12 მან-მდე.**

სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებათ ფასდაკლებით.

**ქართველებო!** შეიძინეთ ეროვნული დროშები!!

ეროვნული დროშები! (left and right border text)

1—16—1

---

კოოპერატორებო და ... ერობის მოღვაწენო!

ხალხში ახლა აუარებელი ფული უსარგებლოთ არის თავმოყრილი. შეიძინეთ და გაავრცელეთ საზოგადოებაში საქართველოს ხაზინის

## 5 პროც. ვალდებულებანი

ამით თქვენ დიდ სამსახურს გაუწევთ რესპუბლიკის ხაზინას და იმ პირთაც, რომელთაც ვერ უპოვნიათ საშუალება ფულის საიმედოთ და სარგებლით დასაბინავებლად. 3—15—2

---

## მოქალაქენო!

შეიძინეთ საქართველოს ხაზინის **5 პროც. ვალდებულებანი** ამით თქვენ გააძლიერებთ სახელმწიფო ფინანსებს და თავისუფალ ფულსაც სარგებლით და საიმედოთ დააბინავებთ. ვალდებულების შეძენა შეიძლება ყველა ხაზინებში და საკრედიტო დაწესებულებებში.

3—15—3

---

კვირას, თებერვლის 23, სამეურნეო ბანკში (სასახლის ქ. № 6), საღამოს 4 საათზე შესდგება

## ეროვნულ-დემოკრატ ახალგაზრდების შეერთებული კრება.

---

## ქართული კლუბი

კვირას, თებერვლის 23

ჟურნ. „თეატრი და ცხოვრების“ სასარგებლოდ გაიმართება

## დიდი სალიტერატურო სამხატვრო საღამო

სიტყვა—„საქართველო-სომხეთის ტრაგედია და ხელოვნება“, იოსებ იმედაშვილისა (ბრძოლის ველზე განცდილი შთაბეჭდილებანი); 2) პოეზია—გრიშაშვილი ი. ტაბიძე გალაკტიონ; 3) მუსიკა—ბახუტაშვილი-შულგინას, კალანდაძე-აგასოვის, ვანო სარაჯიშვილის, ივ. იაშვილის და ს. დოროთქიფანიძის მონაწილეობით. შეასრულებენ ქართ. კომპოზიტორთ არაყიშვილის, ბალანჩივაძის, გოგნიაშვილის, ჯაბადრის, ფოცხვერაშვილის და სხ. ნაწარმოებთ. 4) იუმორისტიკა—ქართ. მსახიობთა მონაწილეობით; 5) ქართული ბალეტი—ბალეტმეისტერი ალბერტისა და ელო ანდრონიკაშვილის მონაწილეობით: საზანდარი—სანდროს ლოტბარობით. ბუფეტი, ტიპური და სხ. გასართობები. როიალთან ქ-ნი ნემეტის ასული.

დასაწყისი სად. 7 ს. გაგრძელდება ღამის 3 ს-დე. ბილეთები იყიდება ქართულ კლუბის კასაში.

2—17 2 საღამოს დიასახლისი ე. ს. ბენდუქიძისა.

---

პუშკინის ფოტოგრაფია

## ს. ა. მიჩნიკისა

(პუშკინის ქუჩა, № 5, პასსაჟი).

ასრულებს სამხატვრო პორტრეტებს მცირე ზომიდან ნატურალურ სიდიდემდე. ზეთით, აკვარელით და პასტელის საღებავებით აგრეთვე შავი სეპიით. მშვენივრად შესრულება პორტრეტებისა ძველ სურათებიდან. ფოტოგრაფია სვინდისიერად შესრულებისთვის პირობას იძლევა. ფოტოგრაფია ღიაა დილის 9 საათიდან სად. 5 საათამდე. დღესასწაულების გამოუკლებლივ.

---

ედუარდ კლარის ფოტოგრაფიასთან გახსნილია

## პორტრეტების გამადიდებელი

სტუდია. პორტრეტები კეთდება ყოველ ძველ სურათებიდან, ნატურალურ სიდიდემდე როგორც შავი საღებავით ისე ტუშით. მისამართი: სასახლის ქ., № 5, ქართული კლუბის შესავალი.

---

დილით **ახალი კლუბი** 11-ნახ. საათ.

დღეს, თებერვლის 23-ს, 1919 წელს

თამარ მეფის სახელობის ქალთა სამოსტატო სემინარიასთან არსებულ მშობელთა წრე ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოდ მართავს

## წარმოდგენა-კონცერტს

## ჯერ დაიხოცნენ მერე დაქორწილდენ

კომედია 2 მოქმედებად.

II.

მიხეილ კავსაძის მომღერალთა გუნდი შეასრულებს სახალხო სიმღერებს 2 განყოფილებათ, სხვათა შორის გუნდი შეასრულებს (თამარ ქალი) ნიკო კავსაძის მონაწილეობით.

მონაწილეობენ: ქ. ჯავახიშვილი, ანკარა; ბ. საფაროვი, ფრონისპირელი, ციციშვილი და სხვა. დასასრულ ცანგალა.

ადგილების ფასი 5 მან. 20 მან. ✦ დასაწყისი დილის 11-ნახ. საათზე.

1—2142—1

---

## სახელმწიფო თეატრი.

ორშაბათს, 22 თებერვალს 1919 წ. წარმოდგენა № 23

„კავშირი“-ს დასის მიერ წარმოდგენილ იქნება მესამედ **სინათლე**

მეორე ნაწილი. ფერია ზღაპარი 7 სურ. ი. გედევანიშვილისა

დასის გარდა მონაწილეობას მიიღებს საოპერო დასის ხორო და ორკესტრი. ბალეტი ბ. ვაკარეცის ხელმძღვანელობით და ქ. ბაუერზაკსის მონაწილეობით.

მუსიკალური ნომრები შედგენილია სპეციალურად ამ პიესისათვის ქ. ფოცხვერაშვილის მიერ. დახატულია ახალი დეკორაციები მხატვარი ზალცმანის მიერ.

დირიჟორობს გორელიკი — რეჟისორი შალვა დადიანი.

ადგილების ფასი საბენეფისოა. — დასაწყისი სად. 7 საათზე

წარმომადგენელი ა. გაჩეჩილაძე. — მსახიობთა კავშირის დირექცია

მზადდება: „არლელი ქალი“

პაპიროსს ვინც მოსწევს თეატრში, გარდა საგანგებოდ დანიშნულ ადგილისა დაჯარიმებული იქნება 100 მ.—300 მანეთამდის ადმინისტრატიულ წესით. სახელმწიფო თეატრის კომისარიატი 1—19—1

---

[illegible] 1—2119—1

---

## სახელმწიფო თეატრი

საოპერო დასი ს. ი. ევლახიშვილისა

დღეს, 23 თებერვალს დილით 3. ი. მოლჩანოვის ბენეფისი

## სნეგუროჩკა

საღამოთი დემიანენკოს ბენეფისი საბანეევას მონაწილეობით:

## სპეიდის დედოფალი

66

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უკანასკნელი ცნობები

თებერვლის 21-ს ლანდსტაგში სტუდ. არკო ვალიკიმ მოჰკლა ბავარიის მინისტრ-პრეზიდენტი ეისნერი. მკვლელი მოჰკლეს.

ლლოიდ ჯორჯი ადასტურებს რომ გერმანიას ახალშენებს არ დაუბრუნებენ.

თუ გერმანიამ დრ. ზავის პირობები არ შეასრულა მოკავშირენი ომის განახლებით იმუქრებიან.

რკინის გზის მოძრაობა პარიზ-ვენა-ბუდაპეშტს აღადგინეს.

ოსმალეთის მთავრობამ სტამბოლი დასცალა. მოკავშირეებმა იქ თავისი ჯარი გადასხეს. ქალაქის მმართველობა მოკავშირეთა კანტროლის ქვეშ იქნება.

დამოუკიდებელთა კონფერენციამ დაადგინა ვეიმარის კონფერენცია არ იცნოს.

რუსეთის სოც.-პოლიტიკ. მდგომარეობის გამოსაკვლევად დანიშნულ თათბირის კომისიაში შედიან: ადლერი, ბაუერი, კაუცკი, გილფერინგი, ლონგე, ინდერსონი და სხ.

ბესარაბიის გუბერნიაში ბესარაბიის რესპუბლიკის დირექტორია დაარსდა, დირექტორიამ რუმინიის საოკუპაციო ბრძოლა დაიწყო.

გალიციის სოფლებში გლეხთა დეპუტატების საბჭოები არსდება.

# ახალციხის ბედი

საქართველოს პარლამენტი, რომელიც დათხოვილი იყო დამფუძნებელ კრების მოლოდინში, ხელმეორეთ შეიკრიბა, რათა მსჯელობა ჰქონოდა მიმდინარე პოლიტიკურ კრიზისზე. სამი დღის განმავლობაში პარლამენტში გამართული იყო დებატები მთავრობასა და ოპოზიციის შორის და საგანი დავის უმთავრესათ ახალციხის რაიონში მომხდარი ამბები იყო.

როგორც ყოველთვის ასეთ გამწვავების დროს, კამათი ასცდა თავის ობიექტს, უმთავრესი საგანი მიიმალა და მაშტაბიც შემცირდა.

თავი რომ დავანებოთ იმის ძებნას, ვინ არის დამნაშავე ახალციხის ამბებში და ვინ უნდა მიიღოს მისი პასუხისმგებლობა, მაინც რჩება ერთი საკითხი, რომელიც მოითხოვს მეტს ყურადღებას, და რომლის სათანადო დაფასებაზე დამოკიდებულია საქართველოს ბედი.

სამაჰმადიანო საქართველო ყოველთვის შეადგენდა ქართული პრესის ყურადღების ერთ უმთავრეს საგანს, მაგრამ არასდროს არ ყოფილა დაფასებული მისი მდგომარეობა საქართველოს სახელმწიფოებრივ მომავლისთვის, არც ერთი ისეთი ზომა არ მიგვიღია ისეთი, რომელიც ამ პროვინციების მნიშვნელობის გაგებას გულისხმობდეს.

საქართველოს მტრები ყოველთვის გაიძახიან, რომ საქართველო ინერციით აღსდგა როგორც სახელმწიფო, საერთაშორისო კომბინაციების წყალობით და მართველ პარტიას არავითარი საკუთარი დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი შემოქმედება არ გამოუჩენიაო. არ შეიძლება ითქვას, რომ ეს მტკიცება სრულიად უსაბუთო იყოს.

ჩვენი მთავრობა ყოველთვის მიჰყვებოდა საერთაშორისო ქარის ტრიალს, სულ ერთია საიდან მოდიოდა ეს ქარი: რუსეთიდან, გერმანიიდან თუ ინგლისიდან, და მართლაც ეს ქარის ორიენტაცია ისე ჩქარი იყო, რომ არ რჩებოდა დრო უკან მოხედვის და მკვიდრ სახელმწიფოებრივ შენებისთვის, ამის ბრალია რომ ჯერაც არ არის მოგვარებული საქართველოს სამხრეთ პროვინციების ბედი.

ჩვენ არ გვინდა წინასწარმეტყველობის დაჩემება, მაგრამ ყველაფრიდან სჩანს, რომ მეზობლებს კიდევ მისალები აქვთ ახალი ორიენტაცია—ბოლშევიკურ რუსეთისკენ. ამ დროსთვისაც სამაჰმადიანო საქართველოს ბედი აწეწილი იქნება, და თუ დღეს არ გადაწყდა საბოლოოთ ეს საკითხი, შემდეგ არაფერი იმედი არ არის, რომ როდისმე საქმე გამოკეთდეს.

ევროპა თანდათან შედის რევოლიუციის ცეცხლში. მოსალოდნელია, რომ ეს კრიზისი ძალიან გრძელი იქნება და შეიძლება ითქვას, რომ არას დროს არ ყოფილა ისეთი საფრთხე პანმონგოლიზმის და პანთურქიზმისა, როგორც დღეს. თუ უწინ ამაზე მესიანისტები ლაპარაკობდენ წინასწარმეტყველურად, დღეს უბრალო ხალხიც ინსტიქტით გრძნობს საფრთხეს.

თუ გერმანია დაიღალა ომით და ჩავარდა კრიზისში, თუ ინგლისს ასეთივე შესაძლებლობა უდგას წინ, შეიძლება ითქვას, რომ ეს კრიზისი მებრძოლ ბოლშევიზმსაც დაუდგება და თუნდაც ბოლშევიკებს მართლაც ბედმა გაუღიმოს, და საქართველოც საბჭოთა რესპუბლიკაში შეიყვანონ, მისი დღეებიც არ იქნება გრძელი და დიდხანს ვერ გამაგრდება ჩვენს ქვეყანაში.

ამ დროს მხოლოდ მონგოლებს რჩებათ, როგორც აქლემებს დაუხარჯავი ენერგია, რომელიც თუ დღეს მოდუნებულია, შეიძლება მალე აფეთქდეს, და დიდი პარადოქსი არ იქნება იმის თქმა, რომ შეიძლება თვითონ ევროპამ იხილოს ყვითელი ექსპედიციები და ატილას თუ ჩინგის ყაენის კორიანტელი ხელახლა აღსდგეს დუნაისა და რეინის ნაპირებზე.

პირველი ცეცხლი, როგორც უწინ, საქართველოში დაინთება და ამ ცეცხლის მოსაკიდებელი მასალა ქართველ მაჰმადიანების სახით ჩვენ ჯერაც ვერ დავაზღვევეთ სათანადოთ.

თუ პანმონგოლისტების ყვითელი ექსპედიციები ევროპაში ჯერჯერობით ისტორიული ჰიპერბოლაა და მოვლენათა წინდასწრება, კავკასიაში ეს საფრთხე ახლო მომავლის საკითხია. მაჰმადიანური რკალი ჯერ არ გაწყვეტილა და საქართველო ისევ გარემოცულია. ბ. ნ. ჟორდანიამ და მისმა ამხანაგებმა მალე დაივიწყეს თავიანთი ანალოგიები, როცა ახალ საქართველოს ბედს თეიმურაზ მეფის დროინდელ საქართველოს ბედს ამსგავსებდნენ და პანთურქიზმის ტერორით გვაშინებდენ; სრულიათ არ იყო საჭირო კატონის სიმტკიცე, რომ ეს ამბავი არ დავიწყებულიყო.

ჩვენ გვინდა დავიჯეროთ, რომ ქართველ მთავრობასთან ერთათ ქართველი ჯარიც ასე შეხედავს ამ საკითხს.

ჩვენ არ ვიცით რა გეგმით და რა შეგნებით მოქმედობდა ახალციხეში გენერალი მაყაშვილი, ხოლო მის გადადგომის შემდეგ გენერალი მაზნიაშვილი.

დღეს ახალციხის გენერალ-გუბერნატორათ და ფრონტის მთავარ სარდლათ დანიშნულია გენერალი კვინიტაძე. ჩვენ გვჯერა, რომ ყოველ ქართველ მთავარ სარდალს აქვს მოვალეობის შეგნება, როცა ძველ მესხეთში იწყებს ოპერაციებს, მით უმეტეს გვჯერა, რომ ასეთი შეგნება ექნება ისეთ განათლებულს სარდალს, როგორც გენერალი კვინიტიძეა; ამიტომ გვინდა ვიფიქროთ, რომ გენერალი კვინიტაძის ექსპედიცია უკანასკნელი იქნება და გამარჯვებით შეჰკრავს გაყოფილ საქართველოს...

# პრესსა

**საარჩევნო კურიოზები.**

დამფუძნებელ კრების არჩევნებმა ერთმანეთს წაჰკიდა სოციალისტ-ფედერალისტები და სოციალისტ-რევოლუციონერები. ამ პარტიების გაზეთებში ერთმანეთს ეძახიან მომაკვდავ პარტიას და გზა აბნეულებს, და ამ ბრძოლაში არ ზოგვენ ერთმანეთს. გაზეთი „შრომა" უპასუხებს „სახალხო საქმეს".

„სახალხო საქმე" ძლიერ გაუბრაზებია ჩვენს შენიშვნას და მისთვის ჩვეულებრივი კილოთი თითქოს აბათილებს ჩვენს შენიშვნას, მარა ის მაინც იძულებულია აღიაროს, რომ ფედერალისტები ქუთაისში საშინლად დამარცხდენ. გაზეთი იმით ინუგეშებს თავს, რომ გვეუბნება:

„საქართველოს ცენტრებში: თბილისში თქვენ მიიღეთ 134 ხმა, ხოლო ქუთაისში 151 ხმა" ჩვენი პარტიის ყოველი წევრს ათჯერ რომ ხმა მიეცა, როგორც ამას სჩადიოდენ ფედერალისტები, ჩვენი პარტიის ყოველ წევრს რომ ხმა მიეცა ყოველ საარჩევნო უბანში, როგორც ამას იგივე ფედერალისტები სჩადიან მაშინ ჩვენ მივიღებდით არა იმდენ ხმას, რამდენიც ფედერალისტებმა მიიღეს, არამედ გაცილებით მეტს, მარა ასეთი „მეთოდები" ფედერალისტებისათვის დაგვილოცნია, თუმცა არც ასეთმა „მეთოდებმა" უშველეს ფედერალისტებს და იქ, სადაც ისინი 1904—5 წ. მუშაობდნენ, როგორც მაგ. ოზურგეთში 23 ხმა მიიღეს. ამის შემდეგ აშკარაა, რომ ფედერალისტები ისე „გაიმარჯვებენ", რომ სოციალ-დემოკრატიას აუცილებლად დაამხობენ!

მომაკვდავთა პარტიას მხოლოდ ასეთი იმედი თუ უშველის"!

ჩვენი ფიქრით, არც გაზეთ „შრომამ" უნდა დაჰკარგოს იმედი, მომავალი გაასწორებს ამ პარტიებს თანაბარი სიკვდილით.

# ოვანეს თუმანიანის იუბილე

19 თებერვალს სომხის საზოგადოებამ გადაუხადა ორმოცდათი წლის იუბილე პოეტს ოვანესს თუმანიანს. ოვანესს თუმანიანი თანამედროვე სომხეთის ლიტერატურის საუკეთესო წარმომადგენლად ითვლება. თუმცა ასპარეზი მისი მოღვაწეობის იყო ყოფილი რუსეთის სომხეთი, მისი სახელი მაინც პოპულიარულია ოსმალეთის სომხეთშიც. და ამკვიდრებს მის პიროვნებას, როგორც ერთად ერთს დიდ პოეტებში, ლექსების გარდა, რომელზედაც უმთავრესათ დამყარებულია მისი დიდი სახელი, ოვანესს თუმანიანის პოპულიარობას ხელს უწყობდა მისი პიროვნება, ყოველთვის ნათელი და კეთილშობილი.

არ ყოფილა არც ერთი ისეთი შემთხვევა კავკასიის ერთა ცხოვრებაში, როცა ოვანესს თუმანიანს ხმა არ აემაღლებია და თავისი სიტყვა არ ეთქვას. ოვანესს თუმანიანის სიტყვა იყო ყოველთვის სამართლიანი და მიუდგომელი და ამიტომ პოულობდა გამოძახილს ყველა ეროვნებათა წარმომადგენლებში. და არბილებდა ეროვნებათა შორის შუღლს და მტრობას. მისი სახლი ყოველთვის ღია არის ყველა ეროვნებათა მხატვრების და პოეტებისათვის, რომელნიც მისს ოჯახში ხვდებიან მზრუნველ მასპინძელს და კეთილშობილ ადამიანს და გამოაქვთ ჩთაბეჭდილება შერიგების და სინაზის.

შარშან, როცა რუსის პოეტმა ვალერი ბრიუსოვმა გამოსცა კრებული სომხის პოეტების, ამ კრებულში დიდი ადგილი აქვს დათმობილი ოვანესს თუმანიანს. მისი ლექსები და პოემები „ანაში" სთარგმნა პოეტმა ვიაჩესლავ ივანოვმა, ოვანესს თუმანიანის ლექსები უთარგმნია აგრეთვე კონსტანტინე ბალმონტს. ქართულად არ მოიპოვება თუმანიანის ლექსების თარგმანი, მაგრამ ქართველ პოეტებს განზრახვა აქვთ ერთი სალამო შესწირონ ოვანესს თუმანიანს და მათთან ლიტერატურულ დახასიათებასთან, ერთათ წაკითხული იქნება ქართულათ მისი ლექსები.

თუმანიანის იუბილეს ზეიმის ხასიათი ჰქონდა. იუბილიარს მოუვიდა აუარებელი დეპეშები და მილოცვები, რომელთა შორის იყო მილოცვა ქართველ პოეტების სახელით, საგარეო საქმეთა მინისტრის ე. გეგეჭკორის. ჩვენმა რედაქციამ შემდეგი დეპეშა გაუგზავნა:

„გაზეთ „საქართველოს" რედაქცია მოგიძღვნით სალამს თქვენი ორმოცდა ათი წლის იუბილის გამო. დღეს, როცა საქართველო გარემოცულია მტრებით და ყველა ფრონტზე იბრძვის სიხარულით ხვდება თქვენ დღესასწაულს. ჩვენ გვჯერა რომ ეს დღესასწაულია საერთო კულტურისა და თქვენგან დამსახურებული, როგორც მედროშე პოეტის და ამიერ-კავკასიის ერთა შორის სოლიდარობის გამამტკიცებლის. გისურვებთ მრავალ წელს ანათებდეს კიდევ თქვენი შემოქმედი სულით თქვენ ტანჯულ სამშობლოს სასიხარულოთ...

# ქრონიკა

**ინგლისური გაზეთი.** 21 თებერვალს თბილისში გამოვიდა ინგლისურ გაზეთის პირველი ნომერი. გაზეთი გამოდის კვირაში ორჯერ—სამშაბათობით და პარასკეობით.

**კოოპერაციის კავშირი.** კოოპერატივთა კავშირი 4 მარტიდან სახალხო უნივერსიტეტში ხსნის კოოპერაციის კურსებს. მსმენელთა მიღების რიცხვი განსაზღვრულია.

**ლეონ მანუელიანის სიკვდილი.** თბილისში ამ დღეებში ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ სომხების გამოჩენილი მწერალი ლ. მანუელიანი გარდაიცვალა.

**საფინანსო საბიუჯეტო კომისია.** 20 თებერვალს ქალაქის საბჭოსთან დაარსდა საფინანსო-საბიუჯეტო კომისია. თავმჯდომარედ აირჩიეს გ. ა. თოფურიძე, მის ამხანაგად კ. ნ. აფხაზი.

**ქართული გიმნაზია ბათუმში.** ბათუმიდან გუშინ დაბრუნდა სახალხო განათლების სამინისტროს რწმუნებული ა. ფალავა. მისი სიტყვით ქართულ გიმნაზიის გახსნისთვის სათანადო ზომებია მიღებული. ბინა ნაშოვნია. მოსწავლეთა რიცხვი 216 აღემატება. არ არის საკმაო რიცხვი მასწავლებელთა. ყოველ შემთხვევაში გიმნაზიაში 1-ლ მარტიდან დაიწყება მეცადინეობა.

**ფულების მოპარვა სახელმწიფო კონტროლ. კასიდან.** უკანასკნელ კვირის განმავლობაში, სახელმწიფო კონტროლის კანცელარიიდან 52,000 მან. დაიკარგა. ეჭვით დაიჭირეს კანტორის ხაზინადარი ბაქრაძე.

**მარღანიას დაჭერა.** დაიჭირეს პოლკოვნიკი მარღანია—საქართველოს მისიის ატაშე ადერბეიჯანის რესპუბლიკასთან. მას 300,000 მან. გაფლანგვა ბრალდება.

**გაძარცვა.** 21 თებერვალს საღამოს 8 საათზე ი. პეტროვის ბინიდან (სასამართლოს ქუჩა № 58) 4 შეიარაღებულმა ბოროტგამზრახველებმა 5500 მანეთი და ერთი ოქროს საათი გაიტაცეს.

— 20 თებერვალს საღამოს 9 საათზე რიზენფელდის ბინაზე (ტატიანეს ქ. № 4) შეიჭრნენ 15 შეიარაღებული პირნი და სიკვდილის მუქარით 3,650 მანეთი წაიღეს.

**თანამდებობიდან გადაყენება.** იუსტიციის მინისტრის ბრძანებით სამსახურიდან გადააყენეს 1. თბილისის საპყრობილეთა ინსპექტორის თანამდებობის აღმასრულებელი გ. კანდელაკი; 2. ინსპექტორის თანაშემწე იაგრალოვი; 3. თბილისის საგუბერნიო № 1 საპყრობილეს უფროსი კალანდარიშვილი და 4. № 2 საპყრობილეს უფროსი ალექსანდრე გვათუა. ყველანი სამართალში არიან მიცემულნი.

**თანამდებობაზე დანიშვნანი.** თბილისის საპყრობილეთა ინსპექტორის თანამდებობაზე დაინიშნა ა. ყიფიანი; მისი უფროს თანაშემწედ ალ. ღვინიაშვილი; თბილისის № 1 საგუბერნიო საპყრობილის უფროსად—ანდრია კობიაშვილი და თბილისის № 2 საპყრობილეს უფროსად—კონ. ჯაფარიძე.

**ქურდობა.** 20 თებერვალს ნ. იაკოვლევის ბინიდან ბოროტ-გამზრახველებმა 30,000 მან. სხვა და სხვა ძვირფასი ნივთები მოიპარეს. ეჭვით დააპატიმრეს მოსამსახურე ლ. ლაპშინა.

**გაძარცვა** 20 თებერვალს საღამოს 7 საათზე „ებრაელების სასტუმროში" მუხრანის ქუჩაზე № 11 შეიჭრენ 6 შეიარაღებული პირნი და სიკვდილის მუქარით 60,000 მან. გაიტაცეს.

**მძარცველების დაჭერა.** 21 თებერვალს ღამეს რამოდენიმე შეიარაღებული პირნი ცდილობდენ ოლღას ქუჩაზე კოოპერატიულ დუქნის გატეხას, მძარცველები შეამჩნიეს მილიციელებმა და დაატყვევეს. აღმოჩნდენ: თედორაძე, მიქელიანცი და იანაკოვი.

**ქურდობა.** 21 თებერვალს ი. ანტონოვის ბინიდან (ვაკეზე) მისი სახლში არ ყოფნის დროს მოიპარეს სხვა და სხვა ძვირფასი ნივთები 7,000 მანეთისა.

# პროვინციის ცხოვრება

**ლაგოდეხი**

ლაგოდეხში მღვდელი სანაკლევი, რომელსაც სამხრეთ ოსეთის ეროვნულ საბჭოს მოწმობა აქვს, აწყობს მიტინგებს, აწესრიგებს და ჰკრებს საეკლესიო გადასახადებს. საჭიროა მისი მოქმედების ალაგმვა.

**ზაქათალა**

ზაქათალის ოლქის ლეკები აწყობენ პარტიზანულ რაზმებს, ერთი ცნობით ადერბეიჯანისა და მეორე ცნობით-კი ჩვენს საწინაალმდეგოდ. ადგილობრივი ადმინისტრაცია უძლურია იმოქმედოს ისე, როგორც ეს საჭიროა რესპუბლიკის საკეთილდღეოდ.

**ბორჩალო**

შინაგან საქმეთა მინისტრს ბორჩალოს მაზრის კომისარი ატყობინებს, რომ ეს რამდენიმე თვეა რაც ოსმალეთის ჯარის დეზერტირები ამ მაზრაში დათარეშობენ და ყოველგვარ ბოროტმოქმედებას სჩადიან. ამ დღეებში ადგილობრივმა მილიციამ მიაგნო მათ კვალს და სროლა აუტეხა ყაჩაღებს, რომლებმაც სროლითვე უპასუხეს და ყუმბარებსაც ისროდენ, მაგრამ მილიციის მხრივ არავინ დაზარალებულა, სამაგიეროდ მილიციამ თავგანწირულ ბრძოლის დროს მოჰკლა ყაჩაღთა მეთაური იბრაგიმ ჩაუშა და ცოცხლად შეიპყრეს მეორე მეთაური ყაჩაღებისა ხურშუდ ჩაუშა, რომელიც უკვე თბილისში ჩამოიყვანეს.

**კახეთი**

ყაჩაღობა ისევ გახშირდა. შილდის გზაზე გაძარცვეს ფოტოგრაფი და ფული წაართვეს. ამას წინედ ენისლისკენ გზად მიმავალი გლეხები გაძარცვეს. ბევრია გაძარცული შილდიდან, ყვარლიდან და სხვ. ყაჩაღების წინააღმდეგ ჯერჯერობით არავითარი ზომა არ არის მიღებული.

# არჩევნების შედეგი პროვინციაში

**ოფიციალური ცნობები ცენტრალურ საარჩევნო კომისიის მიერ დღემდე მიღებული.**

| | ს.-დ. 1 | ერ.-დ. 2 | ს.-რ. 3 | დაშნ. 4 | ს.-ფედ. 5 | რ.-დ. 7 | ერ. პ. 8 | მ. პ. 9 | უპარ. 11 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თელავის მაზ. | 19,741 | 559 | 25 | 8 | 676 | 590 | 32 | 13 | 13 |
| ზუგდიდის მაზ. | 14,553 | 2,396 | 7,917 | — | 2,314 | 7 | — | 57 | 2 |
| შორაპნის მაზ. | 37,034 | 5,854 | 1,183 | — | 3,890 | 57 | 400 | 124 | 2 |

შორაპნის მაზრის ცხრილში, მხედველობაში მიღებული არ არის სამი დიდი საზოგადოება: ბოსლევის, კაცხის და ხარაგოულის, საიდანაც ჯერ ოფიციალური ცნობები მიღებული არ არის.

ცენტრალურ საარჩევნო კომისიის მიერ დღემდე მიღებული ცნობების თანახმად, პირველი ადგილი უკავია სოციალ-დემოკრატიულ პარტიას, მეორე—ეროვნულ-დემოკრატიულს, მესამე—სოციალ ფედერალისტებს.

—

გაზეთ „ერთობის" მიერ მიღებულ კერძო ცნობებით, რომელიც ჯერ სავსებით დადასტურებული არ არის, შორაპნის მაზრის ზოგიერთ რაიონებში მიღებული ხმები ესეა განაწილებული.

**ყვირილის რაიონი.**

შორაპნის საზოგადოება: № 1 მიიღო 2382; 2—142; 4—33; 5 14; 7—3; 8—50.

დილიკაურის საზოგადოება: № 1 მიიღო 631; 2 45; 3—1; 5 11; 7—6; 8—31.

ბოსლევის საზოგადოებაში: № 1 მიიღო 532: 2—127; 3—264; 5 28; 8—5.

საქარის საზოგადოება: № 1 მიიღო 1909; 2—296; 3—3: 5—22; 7—6; 8—17; 9—3.

შროშის საზოგადოება: № 1 მიიღო 1041, 2—29; 3—20; 5—8; 7—24; 8—49; 9—3.

შორაპნის უბანი. № 1 მიიღო 747; 2—30; 3—7; 5—8.

კლდეეთის საზოგადოება: № 1 მიიღო 2390; 2—394; 3—6; 5—12; 8—29.

**ბელაგორის რაიონი.**

ლაშელვერკის საზოგადოება: № 1 მიიღო 850; 2—6; 3—„, 4—0; 5—1; 7—11; 8—11; 11—1.

ხუნევის საზოგადოება: № 1 მიიღო 1127; 2—3; 3—4; 5—37; 8 4.

ბეჟათუბნის საზოგადოება: № 1 მიიღო 2071; 2—34; 5—265.

ლეღვნის საზოგადოება: № 1 მიიღო 1218; 2—262; 5—571 9—24.

კაცხის საზოგადოება: № 1 მიიღო 1389; 2—442; 5—176; 9 54; 8—20; 7—1; 3—1.

ხარაგაული: № 1 მიიღო 3386; 2—7828; 5—507; 7—2; 2—2; 8—20; 9—80.

ჩხარის რაიონი; ჩხარი და თერჯილა № 1 მიიღო 3512; 2—727; 3—10; 5—256; 8—29; 9—13; 13—4.

ზოვრეთის საზოგადოებაში: № 1 მიიღო 320; 2—132; 11—1.

# კათოლიკოზ-პატრიარქი ლეონიდი

დღეს 1 საქართველოს ეკლესიაში უდიდესი აქტი შესრულდება: მცხეთის საისტორიო დღის—12 მარტის—სულისჩამდგმელი და ხელმძღვანელი, უშიშარი და დამსახურებული მებრძოლი ჩვენი ქვეყნის ეკლესიის განთავისუფლებისათვის, ერისათვის თავდადებული მღვდელ-მთავარი აღიყვანება სამოციქულო უძველეს აღმოსავლეთის ეკლესიის კათალიკოზ—პატრიარქად!

მთელი მორწმუნე საქართველო უაღრესის აღტაცებით შეჰხვდება ამ სასიხარულო ამბავს...

ვინ უნდა იყოს ივერიის ეკლესიის საჭეთ-მპყრობელი, თუ არა ის, ვინც მთელი ძალა და ენერგია, უხვი ნიჭი და გამოცდილება ამ ეკლესიის აყვავებასა და განმტკიცებას შეალია?! ვის უნდა ეკუთვნოდეს მცხეთის კათედრა, თუ არა იმას, ვისი წინასწარმეტყველური და გამამხნევებელი ხმა ორი წლის წინად გაბედულად გაისმოდა ხავს-მოკიდებულ ათორმეტთა ტაძარში?! საქართველოს თავისუფალ ეკლესიას ვინ უნდა ჰმეთაურობდეს და წინაუძღოდეს, თუ არა ის ადამიანი, რომელმაც სინოდის დარბაზში ჯერ ისევ შავბნელ დროს რუსის არქიელებს დაუმტკიცა მათი უზურპატორული და ყოვლად უსამართლო მოპყრობა ტანჯულ და გაძარცულ ეკლესიისადმი?! აღმშენებლობით პროცესში მყოფ ეკლესიას ვინ უნდა განაგებდეს, თუ არა ის დაუღალავი მოღვაწე, ვინც ურყევი საძირკველი ჩაუყარა სინოდისაგან არარად ქცეულ ეკლესიას და ქართველი ხალხი მოიხმო მის აღსადგენად?! საქართველოს ეკლესიებს ვინ უნდა ჰპატრონობდეს, თუ არა ის, ვისაც მოვლილი აქვს მთელი საქართველო კიდით-კიდემდე, და ვისი ამაგით ჰსულდგმულობდა ყოველი ტაძარი, მონასტერი, თუ საეკლესიო სხვა დაწესებულება?!...

კათალიკოზ ლეონიდის ღვაწლის დაფასება მომავალს ეკუთვნის; საგაზეთო წერილში შეუძლებელია აღნუსხვა ყველა იმ სიკეთისა, რაც მას მიუძღვის სამშობლო ეკლესიის წინაშე. მისი საეკლესიო და საზოგადოებრივი მოღვაწეობა წარსულშიაც დაფასებულია: ილია ჭავჭავაძემ იმ თავითვე იგრძნო, როგორი სამაგალითო მოღვაწე ევლინება საქართველოს ეკლესიას და თავის მიმართვაში განსვენებულ ალექსანდრე ეპისკოპოზისადმი ხაზგასმით აღნიშნა, რომ უპირველესი ღვაწლი მისი იმაშიაც გამოიხატება, რომ მან აღზარდა „განძი, რომელსაც ჩვენ შევხარით სასოებითა და იმედით"...

ეს იმედი ჩვენმა კათოლიკოზმა სავსებით გაამართლა: დღევანდელი წინამძღოლი საქართველოს ეკლესიისა ეკუთვნის ქართველ მოღვაწეთა იმ სახელოვან პლეადას, რომელნიც მო- [illegible] სჭარბობს კათალიკოზ—ლეონიდში: საეკლესიო მოღვაწე მღვდელ-მთავარი, თუ მოქალაქე—შემნატრი სამშობლოს ბრწყინვალე მომავლისა და სევდით აღსავსე მისი დღევანდელი დავაგლახებულ მდგომარეობით!? საკმარისია მოისმინოთ უნეტარესის საუცხოვო და მჭერმეტყველური ქადაგებანი, რომ დარწმუნდეთ მის მორალ-ინტელექტუალურ ძალაში: ტაძრის ამბიონზე სდგას ეკლესიის მოჭირნახულე, ხოლო ის ერთს წამსაც არ ივიწყებს სამშობლოსა და ერს! მღვდელ-მთავარი ქრისტეს მოძღვრებას უქადაგებს ხალხს და ამავე დროს მას უნერგავს საქართველოსადმი ერთგულობასა და სიყვარულს და მოქალაქეობრივ მოვალეობის აღსრულებისაკენ მოუწოდებს მას!

ქართველობა საეკლესიო რიტუალის შესრულებაში მეტად განირჩევა რუსობისაგან: ქართველი საეკლესიო წესს უფრო სახლში ასრულებს, ვიდრე ტაძარში: ტაძრად ქართველი მიდის მხოლოდ დიდ უქმეებში, მაგრამ კათალიკოზ-ლეონიდის ღვთის-მსახურებისას ეკლესია ხალხით სავსეა: ლოცულობს მღვდელ-მთავარი—მოქალაქე და მის მამობრივ დარიგებასა და გამხნევებას ხალხი სიამით ისმენს და ითვისებს...

ეკლესიის თავად დღეს იკურთხება მისი განმათავისუფლებელი: ეს ისეთი ბუნებრივი მოვლენაა, რომ უნებლიედ იბადება კითხვა—რატომ უფრო ადრე არ მოხდა ეს?

ეკლესიის მოდუნებული მაჯის ცემა, ჩვენ გვჯერა, გაცხოველდება! ახლად კურთხეულ კათალიკოზის წარსული და აწმყო, ამისი უეჭველი თავდებია.

კათოლიკოზ-ლეონიდის მწყემს-მთავრობის ქვეშ ჩვენი ეკლესიის მომავალი უზრუნველყოფილია.

**რ. ინგილო.**

# კათალიკოზის კურთხევა

დღეს, 23 თებერვალს, მცხეთის საკათედრო ტაძარში მოხდება ხელდასხმა ტფილელ მიტროპოლიტ ლეონიდის სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქად.

პირველი საგანგებო მატარებელი თბილისიდან მცხეთამდის წავა დილის 9 საათზე. შემდეგ იქნება ჩვეულებრივი მატარებლები.

მცხეთის ტაძარში წირვა დაიწყება 10 ნახ. საათზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

...ილოცვები იქნება მცხეთის სად...ზე ტაძრის გალავანში და ეკლე...ში.

...ირვის შემდეგ კათალიკოზის სტუ...თათვის წმ. ნინოს მონასტერში ...პეზი გაიმართება.

—

## მილოცვა

...როვნულ-დემოკრატ ახალგაზრდა... მთავარ კომიტეტმა სრ-დ საქართვე... კათალიკოს-პატრიარქს ლეონი... შემდეგი დეპეშა გაუგზავნა: „საქართველოს კათალიკოსს ლეონი... ეროვნულ-დემოკრატ ახალგაზრ...ს მთავარი კომიტეტი გულწრფე... სიყვარულით გილოცავთ ბრწყინ... დღეს კათალიკოსად არჩევისას ...ისურვებთ ჩვეულებრივ მხნეობას ...ნულ სიწმინდის დასაცავად ვწუ...თ რომ მძიმე დაბრკოლებანი გვაი...ებენ ზეიმში საჭირო აქტივობა გამოვიჩინოთ“.

## ...ლიად საქ. საკათ. სა...ართლოს წევრთა 1919 თებ. 16-ის თათბირის რეზოლიუცია

...დგან გაზეთებში მოთავსებული ...ა სრულიად საქართველოს საკა...იკოზო საბჭოს თებერვლის 16-ის ...ბირის შესახებ სავსებით არ გა...ტავს სასამართლოს წევრთა აზრს ...ლიკოზის მომხდარ არჩევნების ...ხებ, სასამართლოს წევრნი გვთხო...გამოვაქვეყნოთ სასამართლოს წე... ხსენებულ თათბირის სრული ...ლიუცია.

...რეზოლიუციაც.

...ულიად საქართველოს საკათა...ზო სასამართლოს წევრთა თათ...ა, მოისმინა რა ცნობა სრულიად ...რთველოს კათალიკოზ-პატრიარ...არჩევისა საკათალიკოზო საბჭოს ...საეპარქიო საბჭოთა თანხმობით ...ისის უწმინდესობის ინტრონიზა... დანიშვნისა თებერვლის 23 და ...ია რა ანგარიში შექმნილს მდგო...ობას—საჭიროდა სცნო თვისი ...კიდებულობა ამ აქტთან გამოხა... შემდეგში:

...მიესალმოს მის უწმინდესობას, ...ორც ღირსეულ მამათმთავარს.

... დაესწროს სრულის შემადგენ...ით მისის უწმინდესობის ინტრო...ციას.

...ალმება რა არჩევას მისის უწმინდესობისას, როგორც ღირსეულ მამათმთავრისას და საქართველოს ეკლესიის თავდადებულ მოამაგისას, ამასთან ერთად თათბირი საჭიროდა სცნობს აღიაროს, რომ თვით წესი კათალიკოზის არჩევისა არ ეთანხმება სრულიად საქართველოს საეკლესიო კრების მიერ დამტკიცებულს დებულებას და ვერც გამართლდება თუნდაც არსებულ პოლიტიკურ პირობებში და გამოსთქვამს იმედს რომ მომავალში დებულების მოთხოვნილებანი სავსებით დაცულ იქნება.

## სრ-დ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ლეონიდე



მათი უწმიდესობა დაიბადა 1861 წელს ქართლში. სასულიერო სემინარია 1884 წ. ქ. სტავროპოლში დაამთავრა, ხოლო 1888 წელს კიევის სასულიერო აკადემია განასრულა. აკადემიის გათავების შემდეგ იგი კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების მისიონერად და სკოლათა ინსპექტორად დაინიშნა. ამ დღიდან მას არ დარჩენია მოუვლელი არც ერთი კუთხე ოსეთისა, ფშავ-ხევსურეთისა და საინგილოსი.

1892 წ. დაინიშნა იოანე ზედაზნელის მონასტრის წინამძღვრად იღუმენის ხარისხით, ხოლო 1893 წ. 6 მაისს ებოძა არქიმანდრიტის ხარისხი და ხირსის წმ. სტეფანეს მონასტრის წინამძღვრობა. 1896 წ. არქ. ლეონიდე ქართლ-კახეთ იმერეთის სინოდალურ კონტორის წევრად და 1897 წ. იოანე ნათლისმცემლის მონასტრის წინამძღვრად დაინიშნა იგივე მუშაობდა დაბადების შემასწორებელ კომიტეტში, თბილისის სიძველეთ-საცავში იყო ქართლ-კახეთის საეპარქიო სკოლის საბჭოს წევრად; მუშაობდა „მცხეთის ტაძრის განმაახლებელ კომიტეტში“ და სხ. 1898 წ. სახელდებულ იქმნა გორის მღვდელ მთავრად. ამავე წლის 11 იანვარს ერეკლე მეფის გარდაცვალებიდან ასი წლის თავზე მან წარმოსთქვა სიტყვა, რამაც ბევრის გული აანთო საქართველოთი. 1900 წ. იგი ჰმართავდა ექსარხოსის თანამდებობას, ამავე წელს იმერეთის ეპისკოპოსად დაინიშნა 1901 წ. აღსანიშნავია მისი ბრძოლა რუს შავრაზმელების წინააღმდეგ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალობისთვის. ბრძოლის შედეგი იყო ის, რომ ვოსტორგომმა (1908 წ.) იგი გურია-სამეგრელოს ეპისკოპოზად გადაიყვანა ქ. ფოთში სადაც თვის ქადაგებათა სრული ტომი გამოსცა. ამ ჟამიან ქალაქში დაავადმყოფდა მათი უწმიდესობა, მაგრამ ნათელ იმედს საქართველოსთვის იგი არა ჰკარგავდა.

1917 წლის 12 მარტს მისი თაოსნობით გამოცხადდა საქართველოს ეკლესიის თავისუფლება. ამ ბრწყინვალე დღიდან იგი იყო სრ-დ საქართველოს ეკლესიის კათალიკოზ-პატრიარქის მოსაყდრედ, სანამ ქართულ ეკლესიის საყდარზე არ ავიდოდა ნეტარხსენებული კირიონი.

კირიონის განსვენების შემდეგ დაქვრივებული ეკლესია ისევ მას ჩაბარდა და მან ისევ იტვირთა მისთვის მძიმე გოლგოთა. დღეს სამეუფო სვეტიცხოვლის თაღები ახალ ნათელით ისევ გამუქდება, ხოლო მათი უწმინდესობის თავზე უზენაეს ხელით ახალი გვირგვინი მოიღება.

ლ.

## † იოსებ ყიფშიძე

სახადისაგან გარდაიცვალა სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი იოსებ ყიფშიძე. ეს ამბავი გულწრფელად დააღონებს ყოველ ინტელიგენტს. საქართველო ისე არ არის მდიდარი განათლებული ძალებით, რომ სიკვდილი ერთი პროფესორისა უმნიშვნელო მოვლენად ჩავთვალოთ, მით უმეტეს, რომ განსვენებული ახალგაზრდა და ჯან-ღონით სავსე იყო და მისგან საშობლო მეცნიერება ბევრს მოელოდა.

პეტერბურგის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ 1911 წელს ი. ყიფშიძე სახელმწიფო ხარჯით გაიგზავნა გერმანიაში, სადაც ის სწავლობდა უმთავრესად ენათმეცნიერებას.

ორი წლის შემდეგ ი. ყიფშიძე დაბრუნდა პეტროგრადში და წარადგინა დისსერტაცია: „მეგრულ ენის ქრისტომატია, გრამატიკა და ლექსიკონი“. აღმოსავლეთის ფაკულტეტმა მას უბოძა ქართულ ფილოლოგიის მაგისტრის ხარისხი. აკადემიკოს მარრმა დისპუტის დროს განაცხადა, რომ ყიფშიძეს დოქტორის ხარისხის ღირსადა სთვლის.

უკანასკნელ ხანამდე განსვენებული ლექტორი კითხულობდა პეტერბურგის უნივერსიტეტში და აღმოსავლეთის პრაქტიკულ აკადემიაში; საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდგომ ის მოიწვიეს თბილისის უნივერსიტეტის პროფესორად.

ი. ყიფშიძე პარლამენტის სარედაქციო კომისიაში მონაწილეობას იღებდა, როგორც ლინგვისტი და ქართული ენის საუკეთესო მცოდნე.

რ. ი.

## ერობის ყრილობა.

21 თებერვალს გაიხსნა საქართველოს ერობის ყრილობა.

დ. ონიაშვილი ულოცავს პირველ საქართველოს ერობის ყრილობის წარმომადგენლებს რომელთაც უნდა გადასწყვიტონ საყურადღებო საკითხები.

ყრილობა ირჩევს პრეზიდიუმს შემდეგ შემადგენლობით:

ყრილობის თავმჯდომარე დ. ონიაშვილი, თავმჯდომარის ამხანაგი მ. კლიმიაშვილი და ვ. თავაძე, მდივნებად ლობჟანიძეს და შენგელიას პირველი მოხსენება ეხება ერობას და მთავრობას.

## დეპეშები

(საქ. დეპ. სააგენტო).

**სავაჭრო ურთიერთობის აღდგენა.**

საფრანგეთის მთავრობამ საგანგებო დეკრეტით ნება დართო განაახლონ მოწინააღმდეგე ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობა.

ჩვენი გაზეთის კანტორასთან დაარსდა „საქართველოს“ რედაქციის ფონდი.

დაეხმარეთ ფონდის გაძლიერებას.

**რეინი და კეილის ოლქი.**

დროებითი ზავის კომისიის სხდომაზე მარშალ ფოშმა გამოაცხადა, რომ ამას წინად დაპყრობილ გერმანიის ოლქი კიელი გაუთანასწორდება რეინის მარცხენა მხარეს, რაც იმას ნიშნავს, რომ კეილის ოლქსა და გერმანიის სხვა ნაწილების შორის ურთიერთობას სრულიად აკრძალავენ.

**ეისნერის მოკვლა.**

როდესაც ბავარიის მინისტრ-პრეზიდენტი ეისნერი თებერვლის 21 დილის 10 ს. და 15 წ. ლანდაგსტში ფეხით მიდიოდა, სტუდენტმა გრაფმა არკო ვალლეიმ ორჯერ თავში ესროლა. ეისნერი მაშინვე მოკვდა. დამნაშავე დაიჭირეს და მეზღაურებმა მოკლეს. მინისტრი უნტერლეიტნერი, რომელიც ეისნერთან ერთად მიდიოდა, დაიჭრა, მეორე ცნობით, უნტერლეიტნერი და მინისტრი აუერიც მოკლულნი არიან; ეს ცნობა ჯერ არ დამტკიცებულა. ეისნერი 52 წლისა იყო. ბერლინში დაიბადა და ფილოსოფიის შესწავლის შემდეგ „ფრანკფურტერ ცეიტუნგს“ რედაქტორობდა. შემდეგ მუშაობდა სოციალ-დემოკრატიულ გაზეთებში და „ფორვერტში“.

**გაფიცვა გოტაში.**

გოტაში მუშების საყოველთაო გაფიცვის გამოცხადების გამო პროტესტის ნიშნათ ყველა სავაჭრო და მათ შორის სასურსათო დაწესებულებებშიაც მუშაობა შესწყვიტეს გაფიცვების გათავებამდე მუშაობა შესწყდა აგრეთვე ყველა ბანკებსა, კასებსა, საექიმო კაბინეტებსა და აფთიაქებში.

## კლემანსოს დაჭრა

კლემანსო ისე მსუბუქათ დაიჭრა, რომ შინ ფეხით დაბრუნება შესძლო. რამოდენიმე ტყვია მოხვდა ავტომობილს და ერთი მოხუც პრემიერს უკანიდან მხარში. ტყვია გავიდა ისე, რომ ტანში არაფერში დაუზიანებია. მთელი დღის განმავლობაში კლემენსოს მდგომარეობა უცვლელი იყო, მაგრამ ტემპერატურა თანდათან იწეოდა და მნახველებს არ უშვებდნენ.

ანტვერპენის ქალაქის მოურავმა საგარეო საქმეთა მინისტრს დეპეშით შემდეგი აუწყა: ანტვერპენის მცხოვრებნი აღშფოთებულნი არიან იმ ბოროტმოქმედებით, რომლის მსხვერპლიც კლემანსო გახდა, გულმხურვალე თანაგრძნობას უცხადებს მას და უსურვებს მორჩენას გამოჩენილს პიროვნებას, რომელიც კაცობრიობის გამარჯვებას ეხმარებოდა.

ბრიუსელში დეპუტატთა პალატის თავმჯდომარემ სიხარული გამოსთქვა იმის გამო, რომ საფრანგეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გადარჩა.

კლემანსოს მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. ექიმების სიტყვით მას საფრთხე აღარ მოელის. კლემანსოს ყოველ მხრიდან თანაგრძნობას უცხადებენ. მოსდის თანაგრძნობის დეპეშებიც. რუმინიის ელჩმა ანტონესკუმ პირადათ ინახულა კლემანსო და გადასცა რუმინიის მეფის ფერდინანდის თანაგრძნობის დეპეშა. ყოფილმა პრეზიდენტმა ტაფტმა დეპეშით უსურვა კლემანსოს მალე მორჩენა. ავსტრიის პრემიერ კლემანსოს წერილობითი თანაგრძნობა განუცხადა თავისი და ავსტრიის მთავრობისა და ხალხის სახელით.

**დამოუკიდებელთა და ვეიმარის კონფერენცია.**

**ბერლინი**, თებ. 15. დამოუკიდებელთა კონფერენციამ დაადგინა არ იცნოს ვეიმარის კონფერენცია. რეზოლიუციაში ნათქვამია, რომ საუკეთესო სისტემა ეს საბჭოთა სისტემაა.

**სტამბოლის დაცლა.**

**ლონდონი**: „დეილი ქრონიკლი“ იუწყება, რომ ოსმალთა მთავრობამ სტამბოლი დაცალა. მოკავშირეებმა იქ თავისი ჯარი გადმოსხეს. ქალაქის მართველობა მოკავშირეთა კონტროლის ქვეშ იქნება.

**მოკავშირეთა მოთხოვნილება დრ. ზავის ახალ პირობებში.**

ციურიხიდან იუწყებიან, დროებითი ზავის ახალ პირობებში მოკავშირეებმა შეიტანეს მოთხოვნილება, რომ გერმანიის არმია შეამცირონ 35 დივიზიამდე და გადასცენ მოკავშირეთ მთელი არტილერია.

**ბოლშევიკური ცნობა**

**ლიონი**. თებ. 19. კლემანსოზე თავდასხმა მოახდინეს. კლემანსო დასჭრეს. თავდამსხმელი დაიჭირეს. ის გვარად კოტტენია.

**კრაკოვი**. თებ. 13. გალიციის სოფლებში გლეხთა დეპუტატების საბჭო არსდება.

**ვარშავა**. თებ. 14. მთელ რუმინიაში მთავრობის დახმარებით ებრაელთა რბევაა.

**ბერლინი**. თებ. 12. დროებათი ზავის კომისია იუწყება: 26 იანვარს მარშალ ფოშმა მოითხოვა, რომ პოლონეთის ჯარს თავისუფლად გასვლის ნება უნდა მიეცეს (?) ბოლშევიზმთან საბრძოლველად.

**ბერლინი**. თებ. 19. მუშათა უბნებში იარაღის აღმოსაჩენათ ჩხრეკა მოახდინეს. ბრბომ ჯარისკაცებს იარაღი ჩამოართვა. მოხდა შეტაკება.

**კილი**. თებ. 13. კილის მიდამოებში გაფიცვები დაიწყო. ჰამბურგში ისევ ბრძოლაა.

**ნაუენი**, თებ. 19. დორტმუნდში და ჰამბურგში მუშათა მოძრაობაა. რურის რაიონი კომუნისტების ხელშია. დიუსელდორფში კომუნისტებმა საერთო გაფიცვა გამოაცხადეს. ბევრ ადგილებში მათ თხრილები გააკეთეს. გომბორნის ოლქის გაფიცულ მუშების კრებამ გამოიტანა რეზოლიუცია ბოლომდის იბრძოლონ ებერტის და შეიდემანის მთავრობის წინააღმდეგ. რეზოლიუცია მოითხოვს დაუყოვნებლივ სამთო მრეწველობის სოციალიზაციას. ბრაუნშვეიგში ორივე სოც.-დემოკრ. პარტიების შუა ბრძოლა დასრულდა, წმინდა სოციალისტურ მთავრობის შედგენით. მთავრობაში ორივე პარტიის თანასწორი რიცხვი შედის.

**რიგა**. თებ. 13. ლატვის მთავრობის საბჭომ გამოსცა დეკრეტი ბანკების ნაციონალიზაციის შესახებ მთელი მიწა ლიტვის ტერიტორიისა სახელმწიფო საკუთრებათ გამოცხადდება.

**პოზნანი**. თებ. 14. ბავარიის ჯარის კაცთა საბჭოს ცენტრალურმა საბჭომ მიიღო რეზოლიუცია გერმანელ აღმოსავლეთის არმიის შედგენის წინააღმდეგ. საბჭოს აზრით ამ ჯარს იუნკრები რევოლიუციის საწინააღმდეგოთ გამოიყენებენ. აღმოსავლეთის საკითხი იარაღის საშუალებით არ უნდა გადაწყდეს.

**გაფიცვები ვესტფალში და სილეზიაში.**

**ბერლინი**. თებ. 18. ვესტფალში და სილეზიაში გაფიცვები ფართო ხასიათს იღებს. გაფიცვები პოლიტიკურ ხასიათს ღებულობენ.

**რადეკი.**

**ბერლინი**. 17. თებ. ოფიც. ცნობებში რადეკის დატყვევების შესახებ ბევრი რამ სიმართლეს არ შეეფერება. რადეკიმ განაცხადა, რომ არ უნდა გამოიყენოს უპარტიობანი, რომელსაც ანიჭებს ბერლინის საბჭოში მიწვევა სურს მას ისე მოექცნენ, როგორც ყველა დატყვევებულ სპარტაკელებს. რადეკი ვერტერშრასის საკატორღო ციხეში იმყოფება. რადეკის დამცველთ, მიუხედავათ გამომძიებლის ნებართვისა, პირველ დღეებში რადეკთან ნახველი არ დაუშვა. სამხედრო მინისტრმა რეინჰარტმა რამოდენიმეჯერ ინახულა რადეკი და უდიერათ მოეპყრო მას. ეხლა მდგომარეობა შეუმსუბუქეს. მას ნება აქვს გარედან საჭმელის შემოტანის და წიგნის კითხვის. საბუთებიდან სჩანს, რომ რადეკი ეკუთვნის სპარტაკელების იმ ჯგუფს, რომლებსაც მიზნათ აქვთ ჯერჯერობით თავი შეაკავებიოს მასას აქტიურ გამოსვლებიდან.

## ბოლშევიკური ცნობები

**მოსკოვი**, თებერვლის 20. კიევი თებერვლის 18. სამხედრო ცნობა. კიევის მიმართულებით ჩვენმა ცხენოსანმა ჯარმა სოფ. სტოიანკა დაიჭირა. ბრძოლის შემდეგ №-ი პოლკი მოწინააღმდეგის თხრილებში შეიჭრა და სოფელი ჩაბანი დაიჭირა. უკრაინის დივიზიის ნაწილებმა ხელთ იგდეს 2 ზარბაზანი, 9 ტყვიისმფრქვეველი, და მრავალი ტყვეთ წამოიყვანეს. უკრაინის ნაწილებმა დაიჭირეს რუზეეიე, ბუდაევკა, ზაზორიე და განტოვკა. მოწინააღმდეგე გარბის. ხერსონის მიმართულებით ატამანი გრიგორიევის რაზმმა სადგ. პომოშნაია დაიჭირა და გაქცეულ პეტლიურას ჯარს სდევნის. ატამან გრიგორიევის რაზმმა ნოვომირგოროდი დაიჭირა. ხელთ იგდეს 12 ტყვისმფრქვეველი. კურგუს მიმართულებით ჩვენმა ნაწილებმა სეღიშნა დასტოვა. პერმის მიმართულებით რკინის გზის სამხრეთით სიწყნარეა. მდ. (?) რაიონში მოწინააღმდეგემ კალინიატა დაიჭირა, მაგრამ მალე ისევ დავატოვებინეთ. ხელთ ვიგდეთ ტყვიისმფრქვეველები და მრავალი ტყვე წამოვიყვანეთ.

## ...რვობა წამებული

(ისტორიული რომანი)

8.

...ადი იყო ამ გამარჯვების შედე...ურიცხველი. ქართველებს დარ...ბევრად ბევრი იარაღი გაქლე...ის მტრისა თუ ტყვედ წამოყა... სიმრავლისა. სარდლებმა ომის ...ედვე ისარგებლეს ამით და შე...ეს უიარაღო მეომრები. დარჩათ ...ად მრავალი ცხენი საუკეთესო. ... აშოტის რაზმს მოემატა მსწაფლ...ოობის უნარი. ყველა ამის გავ...ამ მაშინვე იჩინა თავი: მარჯვედ ...წყო მდევართა რაზმები და მალე ...ვდნენ გაქცეულებს, დრო არ მის... შეძრწუნებულ მტერს თავს მოჰ...ოდა ან გადახვეწილიყო. ყოველ ...ვ დიდძალ ტყვეს მოერეკებოდნენ ...ველნი. ურდო სავსებით თუ დაძ...ლიყო მეფის სადევნად! მთელი ღამე ... დასცხრა გაბნეული მტრის ბყრო... გათენებისას რომ დახედეს მიდა..., გაჰკვირდნენ: ეყარა დაჭრილ...ოცილთა რიყე. დიდძალი ტყვე ...როვილიყო, აუარებელი დავლა.

— ერთს კაცზედ ათი ტყვე მოდის, ...ონავებული ვაჟკაცი შინალთუნად ...ის, იყიდეთ, ვისაცა გსურთ!

— შინალთუნებიც ხომ ბევრი ჰყრია ...ს ველზედა.

— დაილოცა აშოტის მარჯვენა! ... ჰხედავდა, სწორედ სთიბდა ...თ.

— იყარა ჯავრი, განბანა თვის ...ლი მტრის სისხლით.

...გაუზომელი იყო ზნეობრივი ზე...ლენაც, რომელიც მოიღო ქართველ... ჯარზედ ამ მოულოდნელმა გა...ჯვებამ. როცა აშოტის ლაშქარი ...მუსრეს სარკინოზთ ხალილ იზიდის ...წინამძღვრობით, სასოწარკვეთი...ებას მიეცნენ ქართველნი, მტრის ...აშქარი უძლეველად დასახეს, ხოლო ...ლილ დიდებულ მთავარსარდლად...ლხის ამისთანა ჰაზრს ისიც ადასტუ...ებდა, რომ აშოტს მთლად გაუტყდა ...ლი და აღარა ჰფარავდა თვის უი...დობას: ილტოდა სწრაფად, რომ ...ოზედ მიახლოვებოდა ქართლის გულს ...ა გადასულიყო ბიზანტიის საზღვარ...დ. აღარა ჰმალავდა, ოდესმე ბუმ...ერაზად აღიარებული აშოტი, რომ ...ძრწუნებული მხოლოდ თავისა და ცოლშვილის გადარჩენას ლა ეძებდა. მეფის სასოწარკვეთილება გადამდებ სენად მოსდებოდა ქართველობას, მოეღუნებინა მისი ფიქრიც, მისი მარჯვენაც; დარჩენილიყო ხალხი უმწეოდ. აღარა ჰყვანდა მას წინამძღვარი რჩეული, რომ ბედის ვარსკვლავად მოჰვლენოდა უბედურებით გონება ახდილს. ამ გამარჯვებამ ისევ აღმოუბრწყინა ერს გზის მანათი ვარსკვლავი, გული გაუშუქა, აღაფრთოვანა, გმირულადვე აამღერა სული იმისი.

— ტყუილი გამოდგა, აშოტმა უარჰყო ბრძოლა და საბერძნეთისაკენ ჰქნა პირი. თურმე სამხედრო ხერხი ყოფილა მაგისი ლტოლვა: მტრის შორს გამოტყუება და ხაფანგში მომწყვდევა, ჰგულებია. რა ვიცოდით?!

— მაშინვე მომეცა იმედი, როცა მეფემ თავის ფეხით დაიარა ბანაკი და ბრძანება გასცა: ვისაც იარაღის ხმარება არ შეუძლიან, წავიდეს. ვსთქვი, საფრთხეს რასმე თუ უმზადებს მეთქი მტერს.

— ღმერთს დაეფარებინა, მტერი დაგვესხმოდა, როცა იმდენა ხალხი თავს გვახვევია! დიდ უბედურობას დაატრიალებდა; მთლად გაგვჟლეტავდნენ, უკვალოდ მოგვსპობდნენ.

— მშვენიერი ხერხი იხმარა! ძალიან გამოცდილია დალოცვილი. მარჯვედ მომფიქრებელი. ვიწროებში რომ შემოიტყუა მტერი, ღმერთმა მაშინ გადმოგვხედა წყალობის თვალით.

— რა შეუპოვარია ბრძოლაში! უშიშია, როგორც უხორცო. რომ გადმოერია ხმალ-და ხმალ, პირდაპირ ხალილს ეცა იზიდის ძეს. ერთის დაკვრით გაუპო მუზარდი და ჩამოაგდო ი გოლია თი სარდალი.

— განა თითონ ხალილი იყო წინამძღვრად.

— მაშ ვინ იქნებოდა?

— არა, იზიდის ძე არ იყო ის. ხასანი გამოდგა რაჯების ძე, მათი განთქმული ფალავანი და ბუმბერაზი, იმისი ჩამოგდება და მტრის გაქცევა ერთი იყო.

მდევარი ლაშქრის სასტიკმა დამარცხებამ თავზარი დასცა სარკინოზთ. ამ მოწინავე ლაშქარს სხვა ტალღებიც მოსდევდა ქართველთა წასალეკად, მათ მამულის სანადგურებლად და მათი სახსენებელის ამოსაფხვრელად.

რაკი გავრცელდა ხმა აშოტის ძლევამოსილობაზედ, შეშინდნენ ისინიც და უკუიქცნენ; მაგრამ მოსწვდა იმათაც წამოსწრაფებული აშოტი, დახოცა, მოსპო. აღარსადა სჩანდა მტერი. გადამწვარი სოფლები კი ჰმოწმობდნენ, რომ სასტიკ ლაშქარს ეთარეშნა იმ არეს, რა სისწრაფით ევლო უკუქცეულ მტერს, ამასა ჰმოწმობდა ის, რომ ნადავლი საქონელი თუ სხვა ქონება მრავლად იყო დატოვებული გზადაგზა. მედგრადა სდევნიდა აშოტი ოტებულთ. იმკამდა გამოცდილი გამარჯვების ყანას გახმირებულსა.

გაწმიდა მახლობელი სავანეები თუ ციხეები მტერთაგან და შესდგა წინდახედული: განიზრახა ჯერ დაეწყნარებინა ხალხი, დაებრუნებინა ლტოლვილნი, გამოეყვანა გადამალულნი მიუვალ ხევებიდან თუ მღვიმე-გვირაბებიდან. დრო იყო საჭირო იმისათვისაც, ლაშქარი გაემრავლებინა, შაეიარაღებინა, წესზედ დაეყენებინა და ჩაენერგა მისთვის უნდარი თუ ძალა მედგრად მოქმედებისა. ეს იყო ამ ჟამად უმთავრესი ჰაზრი აშოტის მოქმედებისა. მით უფრო ადვილად განხორციელდა ეს სურვილი, რომ შეძრწუნებული მტერი თავისთავად უკუ-იწევდა, მიეშურებოდა დიდ ციხეებისაკენ, რომ ფეხი მოემაგრებინა იქ და გონს მოსულიყო. სულ ცოტა ხანში დასცალა წინწამოწევდილმა მტერმა ახლად დაპყრობილი ადგილები. მის მბრძანებლობას სამზღვრავდნენ ეხლა ლორის ციხე, ლურჯი ვანქი, სამშვილდე, ბირთვისი და კლდევარი. ამ ციხეებში ჩამსხდარი სარკინოზთა ლაშქარი ზღუდედ გადაეღობა ქართველებს, რომ შეეყენებინა მათი წინსვლა, არ მიეცა მათთვის ნება თბილისს მიახლოვებოდნენ: თბილისის დაკარგვა უდრიდა მტრისათვის საქართველოს სრულიად დაკარგვას, მთლადაც გასვლას კავკასიონიდან. ქართველებს ჯერ მაინც ჰაზრად არა ჰქონდათ ამაზედ წინ წასვლა: მაგრამ ციხეებში ჩამსხდარ მტრის ლაშქარს უფრო კარგად მოწყობილი ჯარი ეჭირვებოდა და მარჯვედ დამუშავებული გეგმა მოქმედებისა. არა ჩქარობდა აშოტი. ეხლა მთლად დარწმუნებული იყო, რომ მტერს არ აზოგინებდა საქართველოს სამზღვრებში, უთუოთ განდევნიდა მას ადრე თუ გვიან.

ეს დამარცხება სწორედ მაშინ დაატყდა თავს ხალილ იზიდის ძეს, როცა მეტად ქედმაღლობდა გამარჯვებული და ზეიმობდა; როცა სტკბებოდა იგი სისხლის ღვართა ხილვით, რომელთ სდიოდა მისგან დაჭრილ საქართველოსა; როცა ხალისობდა ცამდინ ავარდნილ ალის გუგუნზედ, რომელიც ანადგურებდა მარად ურჩ ქართველთა ნაშრომ-ნაღვაწსა. მით უფრო დიდი იყო მისი რისხვა, რაც მოულოდნელი იყო სასტიკი დამარცხება. და ეს ულონო რისხვა მისი თავს დაეცა მისსავე მახლობელთ, იმ მეომართ, რომელთ შესძლეს თავი დაეხწიათ ომის ველზედ ავარდნილ ჯოჯოხეთისათვის. ყველანი მეტეხიდან გადმოამზღვრევინა მტკვარში.

მაშინ, თბილისის ავარიანთა დიდ გამარჯვების შემდეგ, მტრის მთავარსარდალი მცირედ ჟამს ადგილობრივ დარჩა; გაქცეულ აშოტს დაადევნა ცხენოსანი ლაშქარი და დაავალა მისწდომოდნენ ძლეულთ, მიერთმიათ მისთვის აშოტი ცოცხალი თუ მკვდარი. მდევარ ჯარს მთავარსადლად უჩინა ხასან რაჯების ძე. ამ მედგარმა მებრძოლმა, გარნა ვერმორსმჭვრეტელმა სარდალმა, ვერ შესძლო ბრძანების ასრულება, თავისი თავიც ზედ შეაკლა ემირს სურვილს.

— აქედანაც გაქცეულა აშოტი, თან გაუტაცნია ცოლ-შვილიც, ხალხიც. ვერ მოუფიქრნია დაბნეულს, რომ მის ლტოლვას შეაფერხებდნენ ისინი და ხელში ჩაგვიცვივდებიან თითონ ისიც, ყველა სხვაც, ბრძანა ხასანმა.

როცა მიიწია ფარავანის ტბის ყურს და იქ აღარ დახვდნენ ქართველნი, ფიცხლავ გამოეკიდა ლტოლვილებს, კვალში ჩაურდგა. მოსწვდა. მთელი თვისი ძალით დაატყდა თავს აშოტის ჯარსა, მაგრამ ადგილ-მდებარეობამ ხელი არ შეუწყო მას ფართოდ ესარგებლნა თავისი დიდი ძალით და დამარცხდა სასტიკად. მარჯვედ მოფიქრებულმა გეგმამ ბრძოლისამ მთლადაც დაამთავრა მისი დამარცხება. რახან შემუსრა უმთავრესი ძალა მტრისა, წვრილწვრილმა დამბრბევმა რაზმებმა ვეღარ შესძლეს თარეშის უშიშრად წარმოება და უკუიქცნენ თბილისისაკენ. ამ რაზმთა ნაწილები იყო, ქართველთ რომ უვარდებოდნენ ხელში ხან იქ და ხან აქ.

ვახილ ბარნოვი.

(გაგრძელება იქნება)

**კიევი**, თებერვლის 18. გენ. გრიშინ-ალმაზოვი თავის თანამდებობაზე უარს აცხადებს, მის მაგიერ ინიშნება მოკავშირეებისაგან გენ. შჩერბაჩევი. ცასილკოვიდან ჩამოსულები გადმოგვცემენ ქალაქში მომხდარ დარბევის ამბავს, რომელიც უკან დახეულ სეტჩევიკებმა მოახდინეს. 43 ებრაელია მკვდარი და 60 ქრისტიანი მუშა. ვაიზბერგის ქარხანასთან რამოდენიმე დღე ეყარა გვამები. ოდესის „სვაბოდნაია რეჩი“ იუწყება, რომ ყოველივე ცნობა, თითქოს მოკავშირეთა ჯარი ნოვოროსიაში გადმოისხმება, სიმართლეს მოკლებულია. უკრაინის საბჭოთა ჯარის ცენტრალური ჯგუფის შტაბის უფროსმა განაცხადა, რომ ფრონტზე ყოველივე თავის რიგზეა. გრძელდება უკრაინის ჯარის გადაჯგუფება, ხმები, ხერსონიდან მოკავშირე ჯარების გაყვანის შესახებ სიმართლეს მოკლებულია.

**ჩერნიგოვი**, თებერვლის 19. კიევის გაზეთები იუწყებიან, ოდესაში ნიკოლაევში და ხერსონში დაწყებულ არეულობის შესახებ.

**ორენბურგი**, 13 თებერვალი. ზემო ურალის მიმართულებით ყინვების მიუხედავათ ჩვენი წინსვლა გრძელდება. მოწინააღმდეგე ვერ ასწრებს პოზიციების გამაგრებას.

**ვოლოგდა**, თებერვლის 19. არხანგელსკის მუშებმა ხელთ იგდეს 50 ზარბაზანი და შეინახეს. სოციალისტ-ობორონცები გაიყვნენ. პოლკის მემარცხენე სოციალისტები კომუნისტების მხარეზე გადავიდნენ. სამხრეთ რუსეთის მთავარ-სარდლის ბრძანებით გენ. ლიახოვი ინიშნება თერგის და დაღესტანის მხრის მთავარ სარდლათ.

**ვოლოგდა**, თებერვლის 19. სენკურის მიმართულებით ერთმა ბატალიონმა უარი განაცხადა (?) ეს ბატალიონი შეკრსკის აღებაში იღებდა მონაწილეობას. ეხლა მოითხოვს არხანგელსკისაკენ გაგზავნას.

**ბერლინი**, თებ. 14. „ბერლინერ-ტაგებლატი“ იუწყება, რომ გამბურგში მდგომარეობა ისევ გამწვავებულია. ჯარის იარაღის აყრა შეუძლებელი ხდება.

**ვილნო**, თებ. 15 ვარშავის ებრაელების გაზეთები იუწყებიან, რომ კოველიდან გერმანელები წავიდნენ. ქალაქი პოლონელებმა დაიჭირეს, რომლებმაც ებრაელების დარბევა მოაწყვეს.

**კიევი**, თებ. 18 პოლკმა დაადგინა გამოსცეს კიევის საბჭოთა ცნობები რუსულათ, უკრაინულათ და ებრაულათ.

? ? მოხდა რამოდენიმე კრება ფაბრიკანტებისა, რომელთაც ორასი მილიონი მანეთის განსაკუთრებული რევოლიუციონური გადასახადი დაადვეს. გადასახადის განაწილების დროს მრეწველებს უკმაყოფილება მოუვიდათ. რუმინიაში სპარტაკელების კავშირი დაარსდა, რუმინიის სპარტაკელებსა, რომელიც გერმანელ სპარტაკელებთან ერთად მუშაობენ და რუსეთის კომუნისტებს შორის კავშირის გასამტკიცებლათ.

**ვილნო**, თებ. 18. ლატვიის მთავრობას აზრათ აქვს გამოსცეს მთავრობის მოამბე ლატვიურ, რუსულ, პოლონურ, ებრაულ და ბელორუსიულ ენებზე.

**ტაშკენტი**, თებ. 19 დროებითი სამხედრო სარევოლიუციო კომიტეტმა და თურქესტანის აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინეს, მოახდინონ სამრეწველოების და ატბასარის მაზრის სპილენძის მაღაროების ნაციონალიზაცია. ატბასარის მაზრაში შეუდგენ დამშეულთა სამიწათმოქმედო კომუნების მოწყობას. ფერგამის ოლქის საბჭოს ხელახალ არჩევნებში კომუნისტების დიდი უმრავლესობა გავიდა.

**სამხედრო ცნობა.** დასავლეთის ფრონტი. ნარვის რაიონში ესტონელთა წითელი ჯარის ნაწილების შეტევა ძლიერდება; აიღეს რამოდენიმე სოფელი. პსკოვის რაიონში ჩვენი ჯარი მედგარი ბრძოლით წინ მიიწევს და იზბორსკის დასავლეთით რამოდენიმე სოფელი დაიჭირა, წამოიყვანა ტყვეები და ხელთ იგდო ტყვიისმფრქვევლები და დიდძალი ტყვია.

ვოლმარის მიმართულებით ბრძოლა გრძელდება. კობრინის მიმართულებით გერმანულ ფორმაში გამოწყობილ პოლონელ ლეგიონერთა ძლიერი რაზმები კობრინ-პინსკის რკინის გზაზე შეტევით წამოვიდა და ჯავშნიანი მატარებლის შემწეობით დაიჭირა დროგიჩინი და ვანოკი. ბელორუსიის წითელმა ჯარმა სად. პეხნევიჩისკენ უკან დაიხია. როვნოს მიმართულებით ბელორუსთა წითელმა ჯარმა მედგარი ბრძოლის შემდეგ დაიბრუნა კასტოვოლი, რომელიც როვნოს ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით იმყოფება, 50 ვერსის სიშორეზე. სამხრეთის ფრონტი. დონეცის რაიონში ჩვენმა ჯარმა წინ წაიწია 10—20 ვერსით და დაიჭირა კოლპაკოვო და ორეხოვო. მილეროვოს რაიონში მედგარი ბრძოლაა. ცარიცინის რაიონში ჩვენი ჯარი განაგრძობს მოწინააღმდეგის დევნას და გავიდა ზემო-ცარიცინის სადგურის და ტუნგუტას ხაზზე, რომელიც ცარიცინის სამხრეთით 45 ვერსზეა.

**ვინნიცა.** უკრაინის სახალხო რესპუბლიკის დირექტორიატს: უკრაინის დიპლომატიური მისია მოსკოვში გაუწყებთ, რომ მისია მოსკოვიდან უკრაინაში გაემგზავრა, საზავო მოლაპარაკების გასამართავათ. მათ თან გაიყოლეს სახალხო კომისართა წარმომადგენელნი მენჟინსკი და ბელგოვი, როგორც შუამავალნი. გზაში მისია გომელში გაჩერდება და ამიტომ სთხოვს იქვე გადასცენ დირექტორიის განკარგულება იმის შესახებ თუ რა მიმართულებით წამოვიდეს მისიის თავმჯდომარე მაზურენკო.

**დრ. ზავის პირობებისათვის.**

დროებით ზავის უკანასკნელ ძალადურ პირობების შესახებ პარიზიდან მიღებულ შეურაცხმყოფელ კილოთი შედგენილმა ცნობებმა საბაბი მისცა არა თუ კონსერვატიულ, არამედ სოციალისტურ მუშათა წრეებსაც გამოეთქვათ, რომ გერმანიის ხალხი მოატყუეს საერთაშორისო სოციალურ სამართლიანობის დაპირებით; გერმანიის ხალხი თვითონ სცდილობდა დაეკარგა წინააღმდეგობის უნარი რის გამოც იგი შეთანხმების სახელმწიფოთა დავლათ ხდება. მაგალითად მეუმრავლესე სოც.-დემ. ორგანო „სოციალისტიშე კორესპოდენტი“ სწერს: „მოღალატენი და უგუნურნი იყვნენ ისინი, ვინც ომის დროს შეუწყვეტლივ უმტკიცებდენ გერმანიის ხალხს, რომ მას ექნებოდა საპატიო ზავი, რომელიც თვითგამორკვევის უფლებას მიანიჭებდა მას თუ კი იგი ზურგს შეაქცევდა იმპერიალიზმს და მილიტარიზმს“. საყურადღებოა აგრეთვე მინისტრ-პრეზიდენტის შეიდემანის სიტყვა, გუშინ ერცბერცოგის სიტყვის შემდეგ გამართულ კამათის დროს ეროვნულ ყრილობაზე, რომ მისთვისაც დადგა მომენტი, როდესაც მტრის მოთხოვნილების შესახებ მანაც უნდა სთქვას: „არა“.

**გერმანიის სამხედრო ტყვეები.**

გერმანიის კომისიას, რომელსაც დავალებული ჰქონდა გერმანიაში სამხედრო ტყვეებისადმი უდიერ მოპყრობის შესახებ საჩივრების გამოძიება, უკვე ჰქონდა თავისი პირველი თათბირი: ერთ შემთხვევაში, როცა მოკლეს და დასჭრეს ინგლისის ოფიცრები, საერთაშორისო უფლების დარღვევა არ ყოფილა, რადგანაც ისინი წინააღმდეგ ბრძანებისა, სამხედრო ტყვეების ბარაკის გარეთ იყვნენ და დარაჯებს უფლება ჰქონდათ იარაღი ეხმარათ, რადგანაც აშკარა იყო, რომ ინგლისელი ოფიცრები დარაჯებს უნდა დასცემოდნენ.

კომისიის მიერ გამოტანილი დადგენილებები ჰმოწმობს, რომ გერმანიის მთავრობა დიდი ყურადღებით ეპრობა სამხედრო საჩივრებს ტყვეებისადმი ცუდათ მოპყრობის შესახებ სამართლიანობა მოითხოვს, რომ მოწინააღმდეგეთა ქვეყნებშიც ასეთი გამოძიებანი, მით უმეტეს, რომ ირკვევა ახალ ახალი შემთხვევები გერმანელ სამხედრო ტყვეებისადმი მოპყრობაში საერთაშორისო უფლების დარღვევისა. მაგალითად 1918 წლის გაზაფხულზე სამხედრო ტყვეთა № 2 ბანაკში ლიუქსეილსენ-სოკეოში 3 გაქცეულ სამხედრო ტყვეს გარსშემოერტყა დადევნებული ჩაფრები და რევოლვერებით დახოცეს, მიუხედავად იმისა, რომ ისინი იატაკზე დაემხნენ და ემუდარებოდნენ არ დაეხოცათ. მხოლოდ ერთი გადარჩა ცოცხალი. რიომში საფრანგეთის სერჟანტებს ხშირად ცემით სიკვდილის პირამდე მიყავდათ გერმანელი სამხედრო ტყვეებს.

## ედუარდ ბერნშტეინის აზრი გერმანიის დღევანდელ მდგომარეობაზე

პარიზელ გაზეთ „temps“ კორესპონდენტთან საუბარი გერმანიის რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრს ედუარდ ბერნშტეინს შემდეგი აზრი გამოუთქვამს გერმანიის დავალიანებაზე და საზოგადო მდგომარეობაზე:

„იმპერიამ ჩვენ გვიანდერძა 150 მილიარდი ვალი. ის ზარალი, რომელიც გერმანიის ჯარებმა მიაყენეს დაპყრობილ კუთხეებს გამარჯვებულთა აზრით უდრის 30 მილიარდს. ყველა სხვა ვალდებულებასთან ერთად საერთო დავალიანება აღემატება 200 მილიარდ მარკას. ამას უნდა მიემატოს რენტა, ინვალიდებსა და ომში დაზარალებულთ რომ ეძლევათ: ეს აღწევს 3 მილიარდს წლიურად. ყოველივე ეს გვიმტკიცებს, რომ გერმანიის რესპუბლიკას მძიმე ვალდებულება აწევს. ზევრს ლაპარაკობენ ომის დაწყების პასუხისმგებლობაზე: მე მოწადინებული ვარ, რომ ამ საკითხის შესახებ პირუთვნელი და ყოველმხრივი მსჯელობა მოხდეს. რაც შეეხება ვილჰელმის პასუხისმგებლობას, მისი დანაშაულობა იმაშია, რომ მან ომი გამოაცხადა, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესი ამას ოდნავაც არ მოითხოვდა. მას კატასტროფის აცილება უთუოდ შეეძლო. განა მას ხელში არ ეჭირა წუმწუმა, რომლითაც ცეცხლის კოცონად აქცია მთელი ქვეყნიერება?! ყოველს შემთხვევაში, მე მგონია, შან უკვე მიიღო საკმაო სასჯელი, რადგანაც იხილა დარბეული და შერცხვენილი საკუთარი ხალხი და რადგანაც მთელი ქვეყანა და გერმანიის ხალხი სწორედ იმასა სდებს ბრალს უაზრო სისხლის ღვრაში. მე არა მსურს, რომ ეს პასუხისგება შესრულებული ყოფილიყო რამე ფიზიკური ზეგავლენით. უდიდესი დანაშაულობა ვილჰელმისათვის იქნება მისთვის სიცოცხლის ჩუქება“.

ბერნშტეინი ინტერვიუში, სხვათა შორის, შეეხო გერმანიის მომავალს:

„დღეს დღეობით ახალი წესწყობილება შეიძლება უზრუნველ ყოფილად ჩაითვალოს. მონარქია მოკვდა და დაიმარხა თვით იუნკერების უმრავლესობის გონებაშიაც, რამოდენიმე პროცენტი მონარქისტებისა, რასაკვირველია, მოიძებნება (სამხედრო წრეებში), მაგრამ აშკარაა, რომ მომავალ ნაციონალურ საკრებულოში მონარქისტები უმნიშვნელო რიცხვში იქნებიან. ხალხის უდიდესი ნაწილი ინსტინქტიურად ეწინააღმდეგება ყოველგვარ მონარქიულ რეჟიმს“...

## პატრიარქი ლეონიდი

უწინდელ დროში პატრიარქს რომ ირჩევდნენ, ყურადღებას აქცევდენ ასარჩევის რწმენას უფრო, ვიდრე მის სწავლას, მის მჭერმეტყველობასა თუ ზნეობრივ მხარეს. ყოველს კეთილ მორწმუნე სამღვდელოს შეეძლო დაეჭირა საპატრიარქო საჭე. მაგალითი: ვიდრე ანტონი I მტკიცედ იდგა მართლმადიდებლობაზე, იგი პატრიარქობდა სახელოვანად, ხოლო რომ შეატყეს განდრეკილება, პატრიარქობიდან დაამხეს და განდევნეს. შემდეგ-კი, როდესაც დაამტკიცა თვისი ერთგულობა ეკლესიისადმი, იგი კვლავ მოიწვიეს და პატრიარქად დააყენეს.

ახლა სხვა დროა და მარტო მორწმუნეობა აღარ უნდა შეადგენდეს საპატრიარქო ღირსებას. ამასთან ერთად ჩვენს დროში საჭირო იყო კარგი სწავლულიც, მჭერმეტყველიც, თაოსანიც საქმეში, სათნოიანიც ცხოვრებაში.

მართალია ჩვენში აქამდე არსებულ დუხჭირ აღზრდა-განათლების სისტემის დროს ძნელი იყო კაცს შეეძინა ყველა უკეთესი სათნოებანი, მაგრამ მაინც არ გვაკლია თითო-ოროლა, რომელთაც, მიუხედავად ხსენებულ ავდრობისა, შეინარჩუნეს რიგიან, ვიტყვი, კაცური კაცის სახე. ერთ ამგვარს ეკუთვნის ჩვენი ახალი პატრიარქი ლეონიდი.

იგი ეკუთვნის ოქროპირიძეების გვარს და ამ გვარმა-კი მოგვცა არაერთი ოქრო-პირი. მაგალ., რითი არ იყო ოქრო-პირი თვითიე განსვენებული ეპ. ალექსანდრე, კაცი მართალი, პირში მთქმელი, მამხილებელი არა-თუ უხარისხო მზაკვრობისა და უსამართლოთა, არამედ ხარისხოვანებისაც, ვითარცა პობედონოსცევი, ეგზარხოსი ვლადიმირი, კერსკი და მრ. სხვანი, რომელნიც გამოდიოდნენ საქართველოს საენოდ, ან-და რომელნიც თავის დიდის კონებიდან არას სწირავდნენ საქართველოს, ვით, მაგ., ალ. ჭავჭავაძე, ბაგრატიონი, მელიქიშვილი და მათიებრი „მამულიშვილები“. იგი იყო ოქრო-პირი არა თუ მარტო პირით, სიტყვით, არამედ საქმითაც, და ამას ღაღადებს მისი ნამუშევარი თუნდა ზედაზნენს, ჯვარს, შიომღვიმეს და სხ.

ვიცნობთ სხვა ოქროპირიძესაც, საინგილოში დიდხანს კეთილმოწესედ ნამყოფს იროდიონს, რომელმაც თავის სიტყვა-ქადაგებით, თავის კეთილმოღვაწეობით დიდი ამაგი დასდო საქართველოს შორეულ კუთხის შვილებს—ინგილოებს. საინგილოშივე კარგა ხანს წყნარად მუშაობდა სხვა ოქროპირიძეც, პირონი.

აი აქვე, საინგილოში, დაიწყო თვისი მოღვაწეობა ლეონიდმაც.

ჩვენთვის „მხრუნველი“ ეგზარხოსები ნებავდნენ მას: „მაინცა და მაინც თავს ნუ შეიტკივებ ინგილოებისათვის, იყავი ისე, როგორც დღეს ისინი არიან, რომ გეყავს კაცი სამსახურში ადგილზე“. მან კი ასეთი ბრძანებანი არად ჩააგდო და ქრისტიანობის საქმე მხურვალედ აღორძინა. ასეთივე მხურვალეობითა და სიყვარულით იგი მოღვაწეობდა საქართველოს სხვა კუთხეებშიაც, დუშეთ-ხევსურეთს, იმერეთს, სამეგრელო-გურიას და სხვ. თან მას არას დროს გულისყური არ დაუხურავს ქართულ ავტოკეფალიის წინაშე, პირიქით, მუდამ ცდილა სხვა წარჩინებულ მამულიშვილებთან ერთად მოწინავედ ევლო ყოველს სასიკეთო საქმეში, ქართული ერის აღორძინებაა იგი, საპატრიარქო საყდრის აღდგენა, მწერლობის წარმატება თუ კიდევ სხვა საქმე, ყველგან ლეონიდს უკვე დაეჩნევა, შეძლებისამებრ თვისი სასიკეთო კვალი. ეს ცოტაა კიდევ: ნეტარხსენებულ გაბრიელის შემდეგ იგი ერთად-ერთი მჭევრმეტყველი მქადაგებელია. არ დარჩა არც ერთი დიდი მოვლენა ჩვენს ცხოვრებაში, რომ მას არ გაეშუქებინა იგი აუმბიონოდ, და არა კლერიკალურის, თვალსაზრისით. კერძოდ 1795 წლის, მეხეთა კირიონის პატრიარქად კურთხევას, 26 მაისი 1918 წლის და მრ. სხ. თემებზე მას უთქვამს საღვთისმეტყველო-საღვთისმსახურო აღმაფრთოვანებელი, მოსიყვარულე გულის აღმოკვნესისა-სამშობლოს ხსნისა და მწუხარებისაგან გამოწვეული. ამგვარივე ხასიათისაა მისივე „სიტყვანი და მოძღვრებანი“, რომელიც დაიბეჭდა ფოთში 1914 წელს.

ამასთანავე ახალი პატრიარქი არის მეტის-მეტად გულკეთილი და ჩვეულებრივ ქართველური მამიტობით დამნდო. ეს დიდი სათნოებაა, მაგრამ არა ყოველთვის: ხშირად დიდი ადამიანი ენდობა ხოლმე ისეთ უღირს კაცს, რომელიც ადვილად ითრევს მას მდუღარე მორევში. მრავალწლოვანი მისი გამოცდილება თავმდებია, რომ იგი მოერიდება ასეთებს, მით უმეტეს, რომ მის გარშემო ტრიალებენ ისეთი პირები, ვით კეკელიძე, ცინცაძე, იროდიონ ოქროპირიძე და სხვ. სახელოვანი მოღვაწეები.

პატრიარქი კირიონი უფრო მეცნიერებაზე თავს სდებდა და ვერ შექმნა თავის გარშემო საღმშენებლო წრე, ლეონიდი კი უმეტესად პრაქტიკის, საქმის კაცია და, არ ვცდებით, სახელოვნად გაუძღვება ამიერიდან მისდა მინდობილ მშვენიერ სამწყსოს. გაუმარჯოს!

მ. ჯანაშვილი.

## თეატრი და მუსიკა

„აბესალომ და ეთერი“ ზ. ფალიაშვილის

გუშინწინ, თებერვლის 21-ს, სახელმწიფო თეატრში საოპერო დასმა წარმოადგინა ზაქარია ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერი“.

წარმოდგენას აურიცხველი ხალხი დაესწრო და საზეიმო ელფერი სდევდა.

როგორც თვით ოპერამ, ისე მისმა დადგმა-აღსრულებამ დიდი გულმოდგინება გამოიწვია საზოგადოებისა, რომელიც აღტაცებით მიეგება ავტორს და [illegible] აღსრულებელთ.

წარმოდგენა ტექნიკური მიზეზების გამო გვიან დაიწყეს და გვიანვე გათავდა.

ჩვენი გაზეთის შემდეგ ნომერში მოთავსებული იქნება ვრცელი რეცენზია.

—

ვანო სარაჯიშვილის ბენეფისი

ხუთშაბათს, ამა თებერვლის 27-ს, სახელმწიფო თეატრში დანიშნულია ბენეფისი ვანო სარაჯიშვილის, რომელიც სდგამს არაყიშვილის ცნობილ ოპერას: „თქმულება შოთა რუსთაველზე“ და მაზეს ოპერას: „მარგალიტების მაძიებელნი“.

**სახელმწიფო თეატრი.** ორშაბათს, 24 თებერვალს სახელმწიფო თეატრში კავშირის დასის მიერ დასადგმელ წარმოდგენილ იქნება „სინათლე“—მეორე ნაწილი. მზადდება: ორლეანელი ქალი.

**ხაშური.** შაბათს, 1 მარტს, თბილისის სახელმწიფო დასის არტისტების მიერ წარმოდგენილი იქნება სიო მანტურიშვილის დრამა „ბუროსი“. კვირას, 2 მარტს ამავე პიესის ვორში გამეორება.

რედაქტორი ვლ. ქაჯაია.

## მატარებლების მიმოსვლა

11 თებერვლიდან

მატარებლები თბილისიდან ფოთში:

მ. № 1 საფოსტო სალ. 7 საათ. 30 წ.
ხაშურიდან ღამ. 10 ს. 52 წ.
შორაპნიდან ღამ. 1 ს. 34 წ.
სამტრედიიდან—ღამ. 3 ს. 50 წ.
ფოთში — დილის 5 ს. 50 წ.

პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 20 მ.

მ. № 3 საფოსტო დილის 10 ს. 30 წ.
ხაშურიდან დღის 3 ს. 08 წ.
შორაპნიდან—საღამოს 6 ს.
სამტრედიიდან—საღ. 8 ს. 34 წ.
ფოთში — ღამის 10 ს. 43 წ.

პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 10 მ.

მ. № 9 სამგზავრო ქუთაისამდე.
საღამოს 10 საათ. 30 წ.
ქუთაისში მივა დილ. 7 ს. 21 წ.

პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 5 მ.

მ. № 19 სამგზავრო ბორჯომამდე.
დღის 3 საათზე 30 წ.
გორიდან — საღამოს 6 ს. 30 წ.
ბორჯომში მივა საღ. 9 ს. 27 წ.

პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 5 მ.

მ. № 4 საფოსტო ბაქომდე.
ღამის 1 საათზე 10 წ.

მ. № 8 სამგზავრო განჯამდე:
დღის 3 საათზე 35 წ.

მ. № 6 სასწრაფო სალ.—9 ს. ბაქომდე.
პლაცკარტის ფასი ბაქომდე 1 კლ. 60 მ., 2 კლ. 40 მ. 3 კლ. 20 მ.

ყარსისკენ—ერევანში

მ. № 4 საფოსტო —დღის 1 ს. 40 წ.

თბილისში მომავალი მატარებლები.

ფოთიდან—თბილისში.

მ. № 2 სასწრაფო—დილ. 9 ს. 41 წ.
ფოთიდან გამოვა სალ. 11 ს.

მ. № 4 საფოსტო საღ. 8 ს. ფოთიდან გამოვა დილის 7 საათ. 40 წ.

მ. 12 ქუთაისიდან:
დილის 8 ს. 15 წ. ქუთაისიდან გამოვა საღ. 10 საათ. 33 წ.

მ. № 20 ბორჯომიდან
დილის 7 ს. 20 წ. ბორჯომიდან გამოვა ღამ. 12 ს. 46 წ.

ბაქოდან

მ. № 3 საფოსტო დღის 4 ს. 30 წ.
მ. № 5 სასწრაფო დილის 7 ს.
მ. № 7 სამგ. განჯიდან დილ. 8 ს. 30 წ.
მ. № 5 პლაცკარტიანია; პლაცკარტის ფასი 1 კლ. 60 მ., 2 კლ. 40 მან., 3 კლ. 20 მ.

ნახიჩევანიდან და ყარსიდან

მ. № 3 საფოსტო—დილ. 11 ს. 30 წ.

ამათ გარდა კვირა უქმე დღეებში. თბილისსა და მცხეთის შუა იქნება შემდეგი მატარებ. მიმოსვლა.

მ. № 61 თბილისიდან დილის 7 ს. 37 წ.
მ. № 63 დღის 3 ს.

მცხეთიდან მოდის
მ. № 62 დილის 11 ს. 10 წ.
მ. № 64 საღამოს 7 ს. 20 წ.

ექიმი

ივ. ი. ... [illegible]

იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ. სისხლის ნაკლებობით, გულის ფილტვისა, ჭირებით და სხვა შინაგანი სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 4—6 საათამდე.

ელექტრო-ტერაპია

მისამართი: მოსკოვის ქ. № 11. ზემელის აფთიაქის მახლობლად.

თ.—25—2305

სამკურნალო კაბინეტი ექიმის [illegible]

[illegible]

იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606 შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათ. 11 საათ. და საღამოს საათ. 6 საათ. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. ტელეფონი 14—28.

რენტგენის და ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი. წითელ ჯვრის რენტგენოლოგის და მიხეილის საავადმყოფო

ექიმი

ა. ვ. ლევენშტეინისა

იღებს 10 ნახ. 1 საათამდე და 4-იდან 7-ამდე კვირა დღის გარდა. შინაგანი და ქალთა ფილტვების სატკივრებისთვის. (სპეციალურად გულის, კუჭის და ქრონიკულ ავადმყოფებს ნერვიულ სისტემის და ქალურ სქესობრივ სფეროში) რენტგენოგრაფია ჩაწერილი დაჭრილები რიგს გარეშე მიიღებიან. კრილოვის ქ. სახ. № 5 ბინა № 3. ტელეფონი 12—46.

(თვ. 2075—4.)

მედიცინის ექიმი

ე. ა. მონსე

ნერვიული, შინაგანი და საბავშო სნეულებანი. მკურნალობა ელექტრონით სიმსუქნის მკურნალობა ბერგონიეს აპარატით, სასიკეთო მკურნალობა ლინდემანის აპარატით; ფსიხოტერაპია, ჰიპნოზი. მიღება 10 ნახ. ს. დღის საღამოს 6 7 ს. ყოველდღე, კვირის და ხუთშაბათის საღამოს გარდა. მიხეილის პროსპ. № 111. ტელეფონი 13 42.

50—2119—3

წიგნების საკინძ-საკაზმავი სახელოსნო

ვლადიმერ შატბერაშვილისა

13 წლის განმავლობაში პრაქტიკული ცოდნის მიღების შემდეგ გავხსენი საკუთარი სახელოსნო, სადაც ვღებულობ ყოველგვარ საქმეს, რომლებსაც ვასრულებ დაპირებისამებრ

ზედმ სწრაფად ფასში

ვღებულობ კანტორის და ბლანკის წიგნებს, ყდებს, ბროშურებს, სურათებს ჩარჩოებში, სამგლოვიარო ლენტებს და სხ. და სხ საკინძ-საკაზმავ საგნებს.

მისამართი: სასახლის ქუჩა, № 5, მეორე სართულში დრ. მსახიობთა კავშირის გვერდით.

24—114—8 პატივისცემით ვლ. შატბერაშვილი.

ყოველდღიური პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი

„საქართველო“

1919 წ. ხელისმოწერა მიიღება 1919 წ.

გაზეთი თებერვლიდან წლის დამლევამდე ღირს 135 მანეთი.

მისამართი: თბილისი, სასახლის-ქუჩა, № 5,) (ქართული [illegible]).
...ის მისამართი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76.
...ისათვის: თბილისი, „საქართველო“, ტელეფონი № 15—73.

კანტორა ღიაა დილით 9—3 საათამდე.

სტამბა „...“, გაბილის შესახვევი № 4.